ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 28 დეკემბერი, 2015 | №305 (6925) | ფასი: 50 თეთრი

## ინგლისს ესპანეთი შეუერთდა



### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.12 | მანჩესტერი-ჩელსი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 30.12 | სანდერლენდი-ლივერპული | 4.75 | 3.6 | 1.75 |
| 30.12 | რეალი-სოსიედადი | 1.12 | 9.0 | 17.0 |
| 31.12 | ვილიარეალი-ვალენსია | 1.8 | 3.4 | 4.8 |

გვ. 9

# რატომ გაუშვეს მხოლოდ ღარიბაშვილი?



## კვირიკაშვილმა ყველა მინისტრი დატოვა

გვ.2

დღემდე პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა, თუ რატომ წავიდა ღარიბაშვილი სწორედ მაშინ, როცა დიდების ზენიტს მიაღწია – მისი პრემიერობის ბოლო დღეებს დაემთხვა ევროკომისიის დადებითი დასკვნაც და რუსეთის მიერ ქართველებისთვის ვიზების გამარტივებაც

## „ნარმანიას გადადგომას უკვე ივანიშვილიც სთხოვს“



ლევან ხაბეიშვილი: „მერს აქამდეც გაუშვებდნენ, მაგრამ არჩევნების ეშინიათ“

გვ.2



## შოთა მალაშხია: „პრემიერს მერი მიჰყვება“



გვ.4

„ყველაფერი ხდება ისე, როგორც ბიძინას უნდა“

## გიორგი გუგავა: „ივანიშვილის აღდგენილ სამართლიანობას სახელად მურუსიძე ჰქვია“

გვ.4



## მანანა კობახიძე ალეკო ელისაშვილს სასამართლოში უჩივლებს

გვ.5





ელისაშვილი: „კობახიძეს სასამართლოში სიამოვნებით დაველაპარაკები“





გვ.3

## „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო სიის პირველი ნომრის პრობლემა აქვს“

ISSN 1987-9385



გვ.5

## რუსუდან შარაძე: „მურუსიძის არჩევას არავის შევარჩენთ!“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ნარმანიას გადადგომას უკვე ივანიშვილიც სთხოვს“

შორენა მარსაგიშვილი

**26 დეკემბერს თბილისის საკრებულომ დავით ნარმანიას 2016 წლის ბიუჯეტი დაუმტკიცა. რატომ იყო სამარცხვინო ამ დოკუმენტის მიღება, რატომ ვერ ელევა „ქართული ოცნება" დავით ნარმანიას, რამდენი მილიონით გაიზარდა მერიის თანამშრომლების ანაზღაურება? – ამ თემებზე „ახალ თაობას" არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის" ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.**



## ლევან ხაბეიშვილი: „მერს აქამდეც გაუშვებდნენ, მაგრამ არჩევნების ეშინიათ“



**ლევან ხაბეიშვილი:**

– შეურაცხყოფილი ვარ, რომ გაყოყოჩებულმა დავით ნარმანიამ ასე ღიღინ-ღიღინით გაიტანა ბიუჯეტის პროექტი. სამწუხაროდ, საკრებულოში მყოფმა ოპოზიციამ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ამას, ჩვენ კი განხილვაზე დასწრების უფლება არ მოგვცეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის განხილვა მიდიოდა, საკრებულოში საშვთა ბიუროები დაკეტილი იყო. ღია მხოლოდ ცენტრალური შესასვლელი ჰქონდათ, საიდანაც ჩვენ არ შეგვიშვეს. სხდომაზე რომ შევსულიყავი, ნარმანიას აუცილებლად ვეტყოდი სათქმელს.

*– მაინც რას ეტყოდით ნარმანიას?*

– აუცილებლად ვეტყოდი: ის არის ბიუჯეტის ქურდი და მან 2015 წელს თბილისელებს მოჰპარა 1 მილიარდი ლარი. ვეტყოდი, რომ გასაოცარი არაკომპეტენტურობით გამოირჩევა თავადაც და მისი მთავრობაც. გავახსენებდი მის მიერ დასაქმებულ კრიმინალებს. მისი წყალობით თბილისის მერია კრიმინალების ბუდედ გადაიქცა.

*– ჯოკია ბოდოკიას გამო ამბობთ ამას?*

– არა მარტო ჯოკია ბოდოკიას გამო. ბოლო პერიოდში მერიის ბევრი თანამშრომელი დააკავეს. ნარმანიამ მერიაში, ფაქტობრივად, კორუფცია ააყვავა. ეს ადამიანი უსირცხვილოდ გამოდის და თავის ჯაბა სამუშიასთან ერთად ვიღაცას 9 თუ 10 წელს ახსენებს. ამ სამუშიას საერთოდ არ აქვს ხმა ამოსაღები. ეს ის კაცია, რომელმაც ერთ დღეს 3 ბინა შეიძინა, ცოლი კი ბაღების სააგენტოში დაასაქმა.

ნარმანია, რომელიც ჩვენ ნაცმაცუნებს გვეძახის, გამოირჩევა იმით, რომ მერიაში

ჩაჭრილებს, ნათესავებსა და ოროსნებს ასაქმებს. გავახსენებდი, რომ ერთი წლის განმავლობაში განათლების სამსახურს უდიპლომო ბავშვი ხელმძღვანელობდა, რომლის მთავარი დამსახურება კალაძის ცოლისძმობა იყო.

გული მწყდება იმაზე, რომ ბიუჯეტის განხილვისას ნარმანიას არავინ გაახსენა, როცა ასეულობით პროფესიონალი გაყარა სამსახურიდან. საკრებულოს დეპუტატების ადგილზე გავახსენებდი, რომ 220 მილიონი ლარი ტენდერის გარეშე გაანიავა და ძირითადად კორუფციულად დახარჯა. ასეთი რამე 10 წლის განმავლობაში არ მომხდარა მთლიანობაში, ამან კი ერთ წელიწადში შეძლო ეს.

დეპუტატებს აუცილებლად უნდა მოეკითხათ, როგორ ხდება, რომ რამდენიმე დღით ადრე დაფუძნებულ კომპანიებს ურიცხავდნენ მილიონებს. გავახსენებდი, რომ მის პირობებში 14.000-დან 32.000-მდე გაიზარდა დედაქალაქში მოშიმშილეთა რაოდენობა.

გავახსენებდი, რომ დედაქალაქი გადაიქცა დიდ ორმოდ და საცობად, რომ ეს მისი დამსახურებაა. ამას აღარც „ქართული ოცნების“ წევრები უარყოფენ. ნარმანიას საქმიანობას, თეა წულუკიანიდან დაწყებული, მანანა კობახიძით დამთავრებული, ყველა უარყოფითად აფასებს.

აუცილებლად უნდა დასმულიყო კითხვები გაჩეხილ ხეებთან დაკავშირებით. მისი მერობის პერიოდში დედაქალაქში ასეულობით ხე გაიჩეხა.

ეს არ იყო ის ბიუჯეტი, რომელიც ნარმანიას მშვიდად უნდა წარედგინა. გამოდიან და უსირცხვილოდ გვეუბნებიან, რომ ეს ბიუჯეტი თბილისელების კეთილდღეობაზეა, სინამდვილეში კი ნარმანიას ახლობლების კომფორტს ემსახურება. მათ უზრდის ნარმანია ხელფასს.

*– აკი შრომითი ანაზღაურება არ იზრდებაო?*

– ეტყობა, ან ნარმანიას სხვანაირად ასწავლეს მათემატიკა ან სხვა ბიუჯეტის პროექტი აქვს წაკითხული. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში წერია, რომ 2-ჯერ იზრდება შრომის ანაზღაურება და 43 მილიონის ნაცვლად 100 მილიონი ლარი ხდება. 2015 წელს მერიის სტრუქტურებში დასაქმებული იყო 3.919 თანამშრომელი. მომავალ წელს 5.000-ზე მეტი დასაქმდება.

შრომითი ანაზღაურება ყველასთვის არ გაიზრდება. ბაღების მასწავლებლებსა და მძღოლებს ხელფასს არავინ გაუზრდის. მაღალ ანაზღაურებას მაღალი თანამდებობის პირები მიიღებენ.

შრომითი ანაზღაურების გაზრდის პარალელურად, საგზაოს მიმართულებით 7 მილიონით მცირდება დაფინანსება. არადა, ამ სფეროში კატასტროფული ვითარებაა. შემცირებულია დაფინანსება სოციალური მიმართულებითაც. მიმდინარე წლის ბიუჯეტში სოციალური დაცვის კუთხით 178 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. მომავალი წლის ბიუჯეტში ეს დაფინანსება 5 მილიონით არის შემცირებული.

***– თქვენ ახსენეთ, რომ მისი მუშაობით „ქართული ოცნებაც“ უკმაყოფილოა. ამ დღეებში კიდევ უფრო გააქტიურდა ჭორი მისი გადადგომის შესახებ. გადადგება დედაქალაქის მერი?***

– მის გადადგომას მთელი თბილისი ელოდება. ის „ქართული ოცნებისთვის“ იქცა დიდ პრობლემად. დარწმუნებული ვარ, რომ ოლიგარქი, რომელიც კოლბიდან მართავს ქვეყანას, მის გადადგომას ითხოვს და გადააყენებდნენ კიდეც, ერთი შემაფერხებელი გარემოება რომ არ იყოს.

***– რა გარემოებაა?***

– თუ მერი გადადგება, 2 თვის ვადაში უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. „ქართული ოცნება“ არჩევნებისთვის მზად არ არის. ამ არჩევნების რომ არ ეშინოდეთ, ნარმანიას უკვე დააწერინებდნენ განცხადებას გადადგომის შესახებ. ეს არის ადამიანი, რომელიც არც თბილისში და არც მმართველ გუნდში არავის მოსწონს. მისი წყალობით თბილისში „ქართული ოცნების“ რეიტინგი ისე შემცირდა, რომ მათ კანდიდატს მხარს აღარ დაუჭერენ. ამიტომაც ცდილობენ, საქმე მერის ვადამდელ არჩევნებამდე არ მივიდეს.

---

# რატომ გაუშვეს მხოლოდ ღარიბაშვილი?

## კვირიკაშვილმა ყველა მინისტრი დატოვა

შორენა მარსაგიშვილი

**ყველაფერმა კარგად თუ ჩაიარა, ახალ წელს საქართველო ახალ მთავრობასთან ერთად შეხვდება. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებაზე, რომელსაც ახალი ზრდილობის გულისთვის ჰქვია, პარლამენტი ხვალ, 29 დეკემბერს, იმსჯელებს.**

დღეს, 28 დეკემბერს კი კანონმდებლებს აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებთან გაბაასება შეეძლებათ.

საკანონმდებლო ორგანოს მთავრობის განახლებული შემადგენლობა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა 26 დეკემბრის საღამოს წარუდგინა, ერთი დღით ადრე კი ის წარადგინა საპარლამენტო უმრავლესობამ მთავრობის მეთაურის პოსტზე.

უმრავლესობასთან გამართულ შეხვედრაზე მინისტრთა კაბინეტის დასაკომპლექტებლად კვირიკაშვილმა 2 დღე ითხოვა, თუმცა საქმეები გაცილებით ადრე მოათავა. პრინციპში, არც იყო დიდი დრო საჭირო, პრემიერობის კანდიდატმა მთავრობის შემადგენლობა იგივე დატოვა. მან მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრი შეცვალა და ისიც იმიტომ, რომ აქამდე ეს პოსტი თავად ეკავა.

თავიდან კვირიკაშვილი მთავრობაში ცვლილებების შეტანას გეგმავდა. ამის შესახებ მან უმრავლესობასთანაც ისაუბრა. გაჩნდა კიდეც ვერსიები, თუ ვინ დარჩებოდა კაბინეტის მიღმა.

რესპუბლიკურმა პარტიამ, როგორც ამბობენ, მთავრობაში დამატებით რამდენიმე პორტფელი მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო.

გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ მთავრობაში ცვლილებები მოგვიანებით განხორციელდება.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს კვირიკაშვილის ყოფილი მოადგილე მიხეილ კანელიძე დაიკავებს, მეორე ვიცეპრემიერი კი ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი გახდება. კვირიკაშვილს ღარიბაშვილის გადადგომამდე ვიცეპრემიერის პოსტიც ეკავა.

ღარიბაშვილის მოულოდნელი გადადგომის შემდეგ ერს, წესით, არაფერი უნდა გაჰკვირვებოდა, მაგრამ მთავრობის შემადგენლობაში განუხორციელებელმა ცვლილებებმა კიდევ უფრო მეტი ეჭვი გააჩინა.

აღმოჩნდა, რომ ცვლილებები მხოლოდ პრემიერ-მინისტრს შეეხო. არადა, პრემიერის გადადგომა, ტრადიციულად, კაბინეტის მნიშვნელოვან გადახალისებას გულისხმობს.

მართალია, ღარიბაშვილი ამტკიცებს, რომ გადადგომაზე კარგა ხანია ფიქრობდა, მაგრამ ამის აღარავის სჯერა. მას საახალწლო მილოცვა პრემიერის რანგში უკვე ჩაწერილი ჰქონია და პრემიერის რანგში საახალწლო მისალოცებიც დააგზავნა.

რა გახდა ღარიბაშვილის მოულოდნელი წასვლის მიზეზი? ეს, ალბათ, მიმდინარე წლის მთავარი კითხვაა. ამ კითხვას პასუხი შესაძლოა მომდევნო წელს გაეცეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ირაკლი




ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იქნება. სიაზე მუშაობა იანვარში დაიწყება. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ყოფილ პრემიერს ნაახალწლევს შეეძლო წასვლის თაობაზე განცხადების გაკეთება.

პოლიტიკოსთა ნაწილი ირაკლი ღარიბაშვილს ეროვნული ბანკის პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებს. გიორგი ქადაგიძეს უფლებამოსილება მომავალი წლის თებერვალში უწყდება. ამ პოსტზე არჩევის შემდეგ ნაპრემიერალს 7 წელი სამუშაო გარანტირებული აქვს, რადგან ამ თანამდებობაზე 7-წლიანი ვადით ირჩევენ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურა ქვეყნის პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს, ღარიბაშვილს კი მარგველაშვილთან კარგი დამოკიდებულება არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ქვეყნის მეთაური გაჯიუტდეს, თუმცა, როგორც დე-

### პარლამენტი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებაზე ხვალ იმსჯელებს

პუტატების ნაწილი ამბობს, ბიძინა ივანიშვილს ეს საკითხი უკვე მოგვარებული აქვს.

დეპუტატების მეორე ნაწილი კი პრემიერყოფილს მთლად სახარბიელო მომავალს არ უწინასწარმეტყველებს. ისინი არ გამორიცხავენ, „ქართული ოცნების“ ყველა შეუსრულებელი დაპირება ირაკლი ღარიბაშვილს დააბრალონ.

ყველა აღიარებს, რომ ყოფილი პრემიერი სიხისტით გამოირჩეოდა და ოპონენტების მიმართ უხეშ სიტყვებსაც იყენებდა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ამიტომაც მოსწონდათ ის სხვებზე მეტად. ეს ბიძინა ივანიშვილმაც კარგად იცოდა და თავიდან ძალიანაც გულშემატკივრობდა პოლიტიკურ მემკვიდრეს. მერე კი, როგორც ამბობენ, მასზე ბევრი კომპრომატი მიუტანეს. ყველაზე მეტი პრეტენზია მისი ცოლის ნათესავებთან დაკავშირებით ისმოდა. ივანიშვილმა ექსპრემიერი არაერთხელ გააფრთხილა, რომ მათთვის მიეხედა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამბობენ, რომ ახლა დიდი დაჭერები გველოდება.

ღარიბაშვილის წასვლა მავანმა ლევან მურუსიძის ამბავსაც კი დაუკავშირა. ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ მას ირაკლი ღარიბაშვილი ლობირებდა და სწორედ ამას შეეწირა მისი კარიერა.

ლევან მურუსიძე მისი წასვლიდან 2 დღის შემდეგ იქნა დაფასებული. აქედან გამომდინარე, ექსპრემიერის ამ საქმესთან დაკავშირება გამოირიცხა, თუმცა დღემდე პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა, თუ რატომ წავიდა ღარიბაშვილი სწორედ მაშინ, როცა დიდების ზენიტს მიაღწია – მისი პრემიერობის ბოლო დღეებს დაემთხვა ევროკომისიის დადებითი დასკვნაც და რუსეთის მიერ ქართველებისთვის ვიზების გამარტივებაც.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შოთა მალაშხია: „პრემიერს მერი მიჰყვება“

## „ყველაფერი ხდება ისე, როგორც ბიძინას უნდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**პარლამენტის უმცირესობის წევრი, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საკადრო გადაადგილებები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, ბიძინა ივანიშვილის მიერაა დაგეგმილი. ამის მიზეზია რთული მდგომარეობა, რომელშიც „ქართული ოცნების" ხელისუფლება აღმოჩნდა.**

შოთა მალაშხია:
– ძალიან უცნაურად გამოიყურება, როცა პრემიერ-მინისტრი ჯერ გვიმტკიცებს, რომ ქვეყანაში ყველაფერი შესანიშნავადაა, სამიოდე დღის შემდეგ კი პოსტიდან მიდის. ბუნებრივია, არავის სჯერა, რომ ყველაფერი კარგადაა იმ ფონზე, როცა შემცირებულია მთლიანი შიდა პროდუქტი, ინვესტიციები, მოსახლეობის გაღარიბება გრძელდება. პენსიები 20 ლარით ივლისიდან იზრდება. ეს მომატებული პენსიაც კი რეალურად 10 დოლარით ნაკლებია, ვიდრე ადრინდელი. ამ უმძიმესი სოციალური მდგომარეობის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების სკანდალში გახვევის გამო აუცილებელი გახდა საკადრო გადაადგილებები. ასე გადაწყვიტა საქართველოს არაფორმალურმა მმართველმა ბიძინა ივანიშვილმა.

***– სკანდალში რას გულისხმობთ?***

– შეწყალების საკითხებში, იმავე კოკაინის საქმეში მაღალჩინოსნების ჩარევას. უმძიმეს სოციალურ მდგომარეობას ესეც დაემატა. „ქართული ოცნება“ რეიტინგების მხრივ ცუდ დღეშია. საერთოდ, ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივიდეს. იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა, თორემ ქვეყანა ამას ვერ გადაიტანს.

***– ფიქრობთ, რომ 90-იანი წლების მსგავსი სიტუაცია იქმნება?***

– 90-იან წლებში ხალხს მასობრივად გაუჭირდა, მაგრამ ადამიანებს რაღაც-რაღაცები გასაყიდი მაინც ჰქონდათ. ახლა გასაყიდიც არაფერი დარჩათ. კრიმინალი ყოველდღიურად იზრდება. განსაკუთრებით გახშირდა მკვლელობები და ბანკების ძარცვა. არის კორუფცია. იმ წამლებზე, რომლებიც ხშირად მოიხმარება, ფასი 100%-ით გაიზარდა, სხვებზე – ნაკლებით, ჯამში, ფასების ზრდამ მედიკამენტებზე 40% შეადგინა. ამ ფონზე მთავრობა გველაპარაკება წარმატებებზე, ახალ საწარმოებზე, გატარებულ რეფორმებზე.

***– ამ მოხსენების შემდეგ არაბუნებრივად გამოიყურება გადადგომა.***

– ამაშია არაფორმალური მმართველობის თავისებურებები. ღარიბაშვილი პრემიერის თანამდებობაზე იყო, თუმცა, ძალაუფლება არ ჰქონდა. თვითონაც არ სჯეროდა, რომ პრემიერ-მინისტრი იყო. ასეთი მმართველობისას გასაკვირი არაა, რომ ბოტასების ქურდობისთვის ნასამართლევი ფარცხალაძე იყო მთავარი პროკურორი, მმართველს კი ბიზნესებს დეიდაშვილი ულაგებს. ასეთი მმართველობის პირობებში არც ის უნდა მოგვეჩვენოს უცნაურად, რომ ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, პრეზიდენტს საპრეზიდენტო სასახლიდან გამოვიყვანო. მარგველაშვილის მომხრე არ ვარ, მაგრამ არ შეიძლება, ასე მოექცე პრეზიდენტის ინსტიტუტს!

***– ანუ, პრემიერისა და თუნდაც რამდენიმე მინისტრის შეცვლით არაფერი შეიცვლება?***

– რასაკვირველია. ან მინისტრებიდან ვინ უნდა შეცვალონ? ვინც გასაშვებია, იმას მთავრობიდან არ გაუშვებენ.

***– ვინ არის გასაშვები?***

– მაგალითად, შერიგების მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. ის მუდმივად გამოდის და იდიოტობებს ლაპარაკობს. მისი განცხადებები საზიანოა ქვეყნისთვის.

ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე აძლიერებს თანამშრომლობას რუსეთის სახელმწიფო კომპანია გაზპრომთან იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო მისგან გათავისუფლებას ცდილობს.

კულტურის მინისტრის მოადგილედ რჩება მანანა ბერიკაშვილი, რომელმაც 2012 წლის არჩევნების წინ ჩვილი ბავშვის მკვლელობა დააბრალა თავის კონკურენტ გიორგი ღვინიაშვილს.

დარწმუნებული ვარ, ამ ხალხს არავინ შეეხება. არადა, ესაა ზნეობრივი კატეგორიები. მათ გათავისუფლებას სჭირდება მყისიერი გადაწყვეტილება, თორემ ეკონომიკის განვითარებას დრო სჭირდება. სხვებს შეცვლიან. მოსალოდნელია, პრემიერს დედაქალაქის მერიც მიჰყვეს.

***– თბილისის მერს ძალიან ბევრი აკრიტიკებს.***

– ეს კრიტიკა საფუძვლიანია. რაც ნარმანია მერი გახდა, პირდაპირ ჩააოხრეს თბილისი. დავით ნარმანიამ თურმე არ იცის, ვინ თხრის ასფალტს. ისიც ვერ მოახერხა, რომ ტენდერი დროზე ჩაეტარებინა და საბავშვო ბაღის ბავშვები საახალწლო საჩუქრების გარეშე არ დაეტოვებინა.

ნარმანიას მოადგილე მარგიშვილი მაღალხელფასიან სამსახურში გადაიყვანეს. ამ სამსახურმა ინვესტიციები უნდა მოიზიდოს. ნეტა იმდენი ინვესტიცია მაინც თუ მოიზიდეს, რომ მარგიშვილის 2-მილიონიან ხელფასს მიუახლოვდეს? მერია ხალხის წინაშე არ არის პასუხისმგებელი. ის პასუხისმგებელია ივანიშვილის წინაშე.

მერიც ისევე უპასუხისმგებლოდ ექცევა მოსახლეობას, როგორც ღარიბაშვილი მოექცა. ირაკლი ღარიბაშვილი ისე გადადგა, რომ ხალხს მიზეზიც არ აუხსნა.



# ირაკლი სესიაშვილი: „გვჭირდება თანადგომა“

## დეპუტატი პრეზიდენტს პასუხობს



– გვჭირდება თანადგომა და ურთიერთთანამშრომლობა, – ასე გამოეხმაურა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი საქართველოს პრეზიდენტის იმ განცხადებას, სადაც მარგველაშვილი ამბობს, რომ მას და ყოფილ პრემიერ-მინისტრს შორის იყო უთანხმოება.

– მიუხედავად იმისა, რომ ბატონი გიორგი თავად უჩიოდა ამ კომუნიკაციას, მე ვიტყოდი, რომ მას და ჩვენ უმრავლესობასაც სჭირდება ურთიერთთანამშრომლობა და თანადგომა. პრეზიდენტმა ახსენა მოსმენების კანონი. მან ამ კანონს ისე დაადო ვეტო, რომ მის ავტორებს არ შეხვედრია, – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

**კვირა**



ნათია ხურცილავა

# „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო სიის პირველი ნომრის პრობლემა აქვს“



**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხელისუფლების საკადრო პოლიტიკასა და საარჩევნო სიის პირველ ნომერზე საუბრობს.**

**ვახტანგ ძაბირაძე:**

— ახალი წლიდან რასაც მთავრობა გააკეთებს, ყველაფერი აღქმული იქნება, როგორც წინასაარჩევნო სვლა და ის პირდაპირ დაკავშირებული იქნება არჩევნებთან. ჩვენ უკვე მოვისმინეთ კვირიკაშვილისგან, რომ ის მინისტრთა კაბინეტს არ შეცვლის, მხოლოდ ერთადერთი ცვლილება მოხდება და ეს არის ბუნებრივად წარმოქმნილი საგარეო საქმეთა მინისტრის ვაკანტური პოსტი, რომელსაც მისი ყოფილი მოადგილე მიხეილ ჯანელიძე დაიკავებს.

***— რატომ არ წავიდა ის რადიკალიზაციის გზით და ახალი შემადგენლობა რატომ არ დაასახელა?***

— აქ რამდენიმე მთავარი ფაქტორი მოქმედებს. პირველი, არჩევნების წინ ასეთი რადიკალური გადაწყვეტილების მიღება ცოტა სახიფათო იქნებოდა, მეორე — კადრების პრობლემაც არ არის გამოსარიცხი. ასე თუ ისე, ამ ადამიანებმა იციან თავიანთი სფერო, თანაც კვირიკაშვილი მათ იცნობს, მათთან ერთად მუშაობის გამოცდილება აქვს და კიდევ ერთ შანსს აძლევს მინისტრთა კაბინეტის ამ შემადგენლობას. აქვე გასათვალისწინებელია შემჭიდროებული ვადები. ეს, ალბათ, კვირიკაშვილის ამ გადაწყვეტილების ყველაზე ლოგიკური ახსნაა.

***— სამომავლოდ არ გამორიცხა მათი ჩანაცვლება.***

— ვერც გამორიცხავდა. შეიძლება ეს ერთგვარი გზავნილიც იყოს მინისტრთა კაბინეტისთვის, რომ მე თქვენ გაძლევთ შანსს და თქვენც კეთილი ინებეთ და გააორმაგეთ თქვენი მონდომება. ამას ვნახავთ, ვინ რა ენთუზიაზმით გააგრძელებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

***— თუმცა საზოგადოებას რამდენიმე მინისტრის შეცვლის მოლოდინი ჰქონდა, ვიღაცების გვარებიც კი დასახელდა. გარკვეული მინისტრები რომ არ იცვლებიან, ეს წამგებიანი არ იქნება ხელისუფლებისთვის?***

— არიან მინისტრები, რომლებიც საზოგადოების რისხვას სამართლიანად იმსახურებენ და ასევე არის ერთი თუ ორი მინისტრი, რომლებიც ხალხს არ აღიზიანებენ.

ამ შემთხვევაში ცვლილების მოლოდინი შეიძლება იყო, მაგრამ ერთი და ორი საკადრო ცვლილება რადიკალურად მაინც ვერ შეცვლის წინასაარჩევნო განწყობებს. როდესაც ამომრჩეველი ნიჰილისტურად არის განწყობილი და არჩევნების, პოლიტიკოსების გაგონებაც კი არ უნდა, მაშინ ასეთ ცვლილებას აზრიც კი ეკარგება.

ამომრჩევლის ნახევარზე მეტი ვერ ხედავს პარტიას, პოლიტიკურ ძალას, რომლის მიმართ ნდობა ექნებოდა, სრული ნდობა თუ არა, გარკვეული განწყობა მაინც. ეს ძალიან სავალალოა.

***— 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— ასპარეზზე ახალი ძალები გამოჩნდნენ. ყველამ იცის ამ არჩევნების ფასი. ეს არჩევნები შეიძლება დახასიათდეს იმით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა გულგატეხილი და იმედგაცრუებულია. ხელისუფლებას მხოლოდ საკადრო ცვლილებები არ უშველის, საჭირო იქნება ბევრი სხვა კომპონენტის დამატება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველი დაიბრუნოს.

***— ლევან ბერძენიშვილმა თქვა, რომ სიის პირველ ნომრად ვერ ხედავს ღარიბაშვილს. ვინ შეიძლება, სიის პირველი ნომერი იყოს?***

— ირაკლი ღარიბაშვილი უახლოეს მომავალში, არ ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში დაბრუნდება, თანაც — საარჩევნო სიის პირველ ნომრად. მაშინ სრულიად გაუგებარი იქნება ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა.

***— ვინ შეიძლება სიის პირველი ნომერი იყოს, ივანიშვილი?***

— არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ივანიშვილი იყოს და პარლამენტში არჩევის შემდეგ თქვას მანდატზე უარი. სიის პირველი ნომრის პრობლემა ნამდვილად აქვს „ქართულ ოცნებას“.

***— რატომ, ლიდერები არ ჰყავთ?***

— როდესაც კოალიციაში არის ივანიშვილი, მისი საპირწონე ლიდერი ნამდვილად არ ჰყავთ. ამ მიმართულებით ნამდვილად ექნებათ პრობლემა.

# გიგი კალანდაძე პროკურატურას რუსეთთან კავშირში ადანაშაულებს



გენშტაბის ყოფილ ხელმძღვანელ გიგი კალანდაძის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთის პროკურატურები ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებენ.

კალანდაძე საქართველოს პროკურატურის ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ახალი ბრალი გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ის უკრაინაში ნაციონალური გვარდიის ხელმძღვანელის თანაშემწედ ინიშნება და ამავე დროს ქართველ მებრძოლებთან ერთად ბრძოლებში მონაწილეობდა.

გიგი კალანდაძე:

— შარშან გამოვდიოდი რუსთავი 2-ის ეთერში, „არჩევანში“. გამოსვლის შემდეგ რამდენიმე წუთში რუსეთის ფედერაციამ მოითხოვა ჩემი დაკავება უკრაინაში. მიზეზად სახელდებოდა ჩემი მონაწილეობა, როგორც ბრიგადის მეთაურის, 2008 წლის ომში. დღევანდელი პროკურატურა და ახალი პროკურორი პირდაპირ ხელდასხმით ასრულებს რუსული პროკურატურის დავალებებს. რამდენიმეჯერ მესიჯის სახით იყო მოთხოვნა იმისა, რომ დამეტოვებინა უკრაინა და გადავსულიყავი საზღვარგარეთ ან დავბრუნებულიყავი საქართველოში. წარმომადგენელი, რომელიც მე დამიკავშირდა მუშაობს ეგრეთ წოდებულ უშიშროების საბჭოში და მე მას ცივი უარი ვუთხარი

* * *

ცნობისთვის: მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურის მიერ, წამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ახალაია, გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი კალანდაძე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა და შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა, ხოლო შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გიორგი სამუშია დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით.

**მედიანიუსი**

# გურიაში ახალგაზრდა მამაკაცი სანადირო თოფით დაჭრეს



გურიაში, სოფელ ბაილეთში, 24 წლის ახალგაზრდა დაჭრეს. შემთხვევა გამთენიისას მოხდა. ინფორმაციას ტელეკომპანია რუსთავი 2 ავრცელებს. ახალგაზრდა მამაკაცს სანადირო თოფიდან ესროლეს. მას ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული. ექიმების განცხადებით, დაშავებულის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დამატებითი დეტალები შემთხვევის შესახებ ცნობილი არ არის.

**პირველი რადიო**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი გუგავა: „ივანიშვილის აღდგენილ სამართლიანობას სახელად მურუსიძე ჰქვია“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ გაუშვეს ირაკლი ღარიბაშვილი, რატომ არ შეიცვალა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა, რატომ არის გარდაუვალი სოციალური ბუნტი? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრება.**

**გიორგი გუგავა:**

— ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა წინასწარ მოფიქრებული გადაწყვეტილება იყო. თავად ყოფილმა პრემიერმა ვერ დაასახელა არგუმენტი, თუ რატომ დატოვა თანამდებობა, ასეთი რამ კი მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. ბუნებრივია, გაჩნდა კითხვის ნიშნები, ხოლო როცა ივანიშვილის მიერ დანიშნულმა მორიგმა მარიონეტმა მთავრობის იგივე შემადგენლობა წარმოადგინა, ყველაფერი ნათელი გახდა.

***— რა გახდა ნათელი?***

— ის, რომ ქვეყანას არაფორმალური ტიპი მართავს. ეს არაფორმალური ტიპი კი სოლოლაკის შუშის სასახლეში ზის და საქართველო თავისი შპს ჰგონია.

***— გასაგებია, რომ ქვეყანას ის მართავს, მაგრამ რატომ გაუშვა ღარიბაშვილი? ყოფილ პრემიერს მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.***

— ეს უკმაყოფილება გამოწვეული იყო იმ კლანის ქმედებებით, რომელიც ღარიბაშვილის უკან იდგა. თამაზაშვილის კლანს ვგულისხმობ. ეტყობა, მისი და ივანიშვილის ფინანსური ინტერესები გადაიკვეთა. ეს იქნებოდა დაპირისპირების მიზეზი, თორემ ნიცშეს ფილოსოფიაზე ნამდვილად არ იდავებდნენ.

***— ღარიბაშვილის გაშვების გარეშე არ შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება? ღარიბაშვილს არ შეეძლო მათი გაჩერება?***

— ეტყობა, ვერ გააჩერა. ივანიშვილმაც თავისი მხრიდან რამდენჯერმე ცადა მათი მოთოკვა. დაახლოებით ერთი წლის წინ თამაზაშვილისა და ჯანყარაშვილის კადრები მაღალი თანამდებობებიდან გაუშვეს, ცოტა ხანი თავი შეიკავეს, მერე ისევ გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა და იმ წილის დაპატრონება მოისურვეს, რომელსაც ივანიშვილი თავისად მიიჩნევს. ეს კი ოლიგარქის სუსტმა ნერვებმა ვერ აიტანა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

***— თავიდან ამბობდნენ, რომ მთავრობაში ცვლილებები განხორციელდებოდა, საბოლოო ჯამში კი არავინ შეცვალეს. ამ გადაწყვეტილებას რითი ხსნით?***

— იმით, რომ ძალაუფლებით ტკბობას განიცდიან და იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელი პერსონები უნდა მოაშორონ. ყველას რომ თავი დავანებოთ, ნოდარ ხადურიც კი არ გამოცვალეს. მართალია, მისი შეცვლით საერთო ფონი არ შეიცვლებოდა, მაგრამ მხარდამჭერებს ხომ მაინც გადაუგდებდნენ სატყუარას? იმათ მაინც ეტყოდნენ, მთავრობის განახლება მიმდინარეობსო.

ხადურის შეცვლას ვინ ჩივის, ისე გათავხედდნენ და ისეთი ამორალურები გახდნენ, რომ მურუსიძეც კი დაგვასვეს თავზე. არადა, ის კაცი წინა რეჟიმის ყურმოჭრილი მონა იყო და ნაციონალების ნებისმიერ დავალებას ასრულებდა.

***— ნაციონალების ყურმოჭრილი მონა რაში სჭირდებოდა „ქართულ ოცნებას“?***

— ეგ ოლიგარქს უნდა ვკითხოთ. მან კარგად იცის, რომ ახლა მურუსიძე მისი ყურმოჭრილი მონა იქნება. ამიერიდან ქვეყანაში არსებულ უსამართლობაზე პასუხს ბიძინა ივანიშვილი აგებს. ის არა მარტო მომავალში მიღებულ გადაწყვეტილებებზე იქნება პასუხისმგებელი, არამედ იმათზეც, რომლებიც აქამდეა მიღებული.

***— მურუსიძის ამბავმა უმრავლესობის წევრებიც კი აღაშფოთა. ეს ფაქტი შეიტანს „ქართული ოცნების“ რიგებში განხეთქილებას?***

— „ქართული ოცნება“ ურცხვი ადამიანების თავშესაყარია. არა მგონია, ამის გამო მათ შიგნით ურთიერთობა დაეძაბოთ.

***— აბა, რატომ გააპროტესტეს მურუსიძის დანიშვნა?***

— აქ გადამწყვეტი იყო ხალხის რეაქცია. საზოგადოებამ ისეთი პროტესტი გამოხატა, რომ რამდენიმე მეოცნებემ გადაწყვიტა, საკუთარი სახე შეენარჩუნებინა. მათი მხრიდან მე პროტესტი არ მომისმენია, ეს იყო წაკნავლება.

მე მათ განცხადებებს სერიოზულად არ აღვიქვამ, უფრო მეტიც, მურუსიძის გამო მათგანაც ვითხოვ პასუხს. ის მოსამართლეები, რომლებმაც მურუსიძე აირჩიეს, პარლამენტმა აირჩია. ზემოთ იკითხეთ, რაში სჭირდება ივანიშვილს ნაცების ყურმოჭრილი მონაო. ასეთი მონები ოლიგარქს არჩევნების შედეგების „გასაპრავებლად“ სჭირდება.

***— არჩევნების შედეგები რა შუაშია?***

— ამ მოსამართლეებამდე მივა არჩევნების შედეგების გასაჩივრება. შუშის სასახლის ბატონმა კარგად იცის, რომ არჩევნების ვერ მოიგებს და ყველგან თავის ხალხს სვამს.

სხვანაირად ვერაფრით ამიხსნია, როგორ შეიძლება სანდრო გირგვლიანის მკვლელების გამამართლებლის ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა. ამით „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ გირგვლიანის სულს კი არ მიაყენა შეურაცხყოფა, არამედ ყველა იმ ადამიანს, რომლებიც წინა რეჟიმმა შეიწირა.



მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ამ წლების განმავლობაში თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის იბრძოდნენ. ივანიშვილი ხალხს დაჰპირდა, რომ სამართლიანობას აღადგენდა. მის მიერ აღდგენილ სამართლიანობას დღეს სახელად მურუსიძე ჰქვია.

ხალხმა ბევრი რამე შეიძლება აიტანოს, მაგრამ აბუჩად აგდებას არავის აპატიებს. ეს „ქართული ოცნებისთვის“ მძიმედ დასრულდება. ხალხი მათ გაცილებით მკაცრად მოსთხოვს პასუხს, ვიდრე ეს ნაციონალების შემთხვევაში მოხდა.

***— მათ ნაციონალებზე მკაცრად რატომ მოსთხოვენ პასუხს?***

— იმიტომ, რომ ნაციონალებზე უარესები გამოდგნენ, ქვეყანა კატასტროფის პირამდე მიიყვანეს. სამაგიეროდ, თავად გაქსუვდნენ. ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ და ახლა ჩაჯიპულები დაიარებიან. ამათი გაუმაძღარი მადის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი საახალწლო სუფრას ვერ გაშლის. საახალწლო სუფრის გაშლას ვინ ჩივის, ბევრი პურსაც კი ვერ იყიდის.

ცოტა ხნის წინ გაერომ გამოაქვეყნა კვლევა, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ საქართველო, რამდენიმე აფრიკულ სახელმწიფოსთან ერთად, უკიდურესად ღარიბი ქვეყნების სიაში მოხვდა.

***— ეს რას ნიშნავს?***

— მოსახლეობის 70%-ზე მეტი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო საკვებს ვერ იღებს. ამის გამოა, რომ ჩვენთან დაავადებათა რიცხვი კატასტროფულად მატულობს. იგივე შემიძლია ვთქვა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე. ოლიგარქის ხელისუფლებას კი პირადი კეთილდღეობის იქით არაფერი აინტერესებს. ისინი არაფრის შეცვლას არ აპირებენ. ვატყობ, ეს ამბავი დიდი სოციალური ბუნტით დასრულდება და ხალხი ამათ ისევე გააპანღურებს, როგორც რამდენიმე დღის წინ ივანიშვილმა ღარიბაშვილი გააპანღურა.

# „ღარიბაშვილმა გუნდი ვერ შექმნა“

## ზაალ ანჯაფარიძე: „კოალიციას ვითარების შემობრუნება გაუჭირდება“



– თუ არ შეიცვალა გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის წარმოების პროცესი, არ მგონია, რომ მმართველ კოალიციას არჩევნებზე რაიმე სერიოზული წარმატების იმედი შეიძლება ჰქონდეს, – აცხადებს ფორ.გე-სთან საუბრისას დამოუკიდებელი ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე, რომლის განცხადებით, პრემიერმინისტრობის კანდიდატი ერთგვარი კომპრომისული ფიგურაა, რომლის მიმართაც ხელისუფლების ოპონენტებსაც არ აქვთ დიდი წინააღმდეგობა.

რამდენად მიეცემა კვირიკაშვილს თავისუფლად მოქმედების საშუალება და შეეცდება თუ არა, შეცვალოს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი? – ამ საკითხებთან დაკავშირებით ფორ.გე ზაალ ანჯაფარიძეს ესაუბრა.

***– ეკონომიკური კრიზისი, კლანური მმართველობა და „ქართული ოცნების“ დაბალი რეიტინგი. ეს არის საკითხები, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის მიზეზი გახდა?***

– წამყვანი, ალბათ, არის ის, რომ ღარიბაშვილის მუშაობით კმაყოფილი არ იყო მმართველი კოალიცია. ვერ დადგა ის შედეგები, რისი მოლოდინიც იყო. შედეგები არც ისე სახარბიელოა. ლარის კურსის ვარდნა, რაშიც, სხვა ფაქტორების გარდა, წვლილი მიუძღვის მთავრობის არასათანადო მუშაობასაც. ამას დავუმატოთ ის გახმაურებული სკანდალები, რომლებიც უკავშირდებოდა პრემიებისა და დანამატების საკითხს, რამაც საზოგადოებაში სერიოზული პროტესტი გამოიწვია და ამ პროტესტის ნეგატიური კვალი დღემდე მოჰყვება ხელისუფლებას.

იგივე ნეპოტიზმი და, რაც მთავარია, სიტყვიერ დაპირებებსა და რიტორიკას ვერ გასცდა სამართლიანობის აღდგენის პროცესი. ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, გახდა საფუძველი იმისა, რომ ირაკლი ღარიბაშვილისთვის კარისკენ მიეთითებინათ.

გარდა ამისა, საერთაშორისო ფაქტორებმაც იქონია გავლენა. მართალია, ჩვენ მივიღეთ ვიზალიბერალიზაციის რეჟიმი, ღარიბაშვილის პრემიერობის დროს მოეწერა ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, თუმცა მაინც ვერ გახდა სანდო და მისაღები პარტნიორი.

***– ყველა თანხმდება, რომ მას, როგორც პრემიერს, ჰქონდა წარმატება, მაგრამ ვერ გახდა სანდო და მისაღები პარტნიორი. რატომ?***

– ლიდერი რომ იყო, უნდა გაგაჩნდეს ლიდერის თვისებები, შეგეძლოს შენ ირგვლივ ეფექტური გუნდის ფორმირება. შეძლო ღარიბაშვილმა მის ირგვლივ ეფექტური გუნდის ჩამოყალიბება? ვერ შეძლო. მისი განცხადებები, ერთი მხრივ, ევროპისკენ სწრაფვაზე, მეორე – მხრივ რუსეთთან ურთიერთობის სწრაფვაზე ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში ორ სკამზე ჯდომის მცდელობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როგორც ჩანს, ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა არა – წამყვანი.

მაინც მგონია, რომ გადადგომის მიზეზი იყო შიდა პოლიტიკური პროცესები, რამაც განაპირობა კოალიციის რეიტინგის დაცემა. მართალია, ამბობენ, რომ ენდიაის სოციოლოგიურ გამოკითხვებს არ ენდობიან, მაგრამ შიდა მოხმარებისთვის სოციოლოგიური გამოკითხვებს შედეგებს ძალიან კარგადაც ითვალისწინებენ.

***– რამდენად გამოიწვევს ღარიბაშვილის წასვლა საზოგადოების ნდობის შემოტრიალებას კოალიციის სასარგებლოდ?***

– რთული სათქმელია. ფაქტობრივად, ღარიბაშვილის გადადგომით მოხდა ოპოზიციის განცხადებების დადასტურება. ასე ვთქვათ, მთავრობამ განაცხადა: კი, გვყავდა სუსტი პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ახლა ყველაფერი ეს წარსულს ჩავაბაროთ, ყველაფერი დავიწყოთ ახალი ფურცლიდანო. როგორც ჩანს, ამ განწყობის გაღვივებაზეა საუბარი.

***– შეძლებს კოალიცია ახალი ფურცლით საზოგადოებასთან ურთიერთობის აღდგენას?***

– გიორგი კვირიკაშვილი კომპრომისული ფიგურაა, რომლის მიმართაც ხელისუფლების ოპონენტებსაც არ აქვთ დიდი წინააღმდეგობა, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად მისცემენ მას თავისუფლად მოქმედების საშუალებას, რამდენად ეფექტური იქნება და შეეცდება, შეცვალოს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, რაც ძალიან ცუდი იყო წინა პრემიერის დროს. ვერცერთი მინისტრი ვერ იღებდა გადაწყვეტილებას და თვითონ პრემიერ-მინისტრიც არ იყო ბოლომდე გადაწყვეტილების მიღების პროცესში თავისუფალი, რაც მთელ რიგ პროცესებს აფერხებდა.

თუ ეს პრობლემა დარჩა, მაშინ სახელების შეცვლით სიტუაცია არ გამოსწორდება. მიჭირს იმის თქმა, არჩევნებამდე დარჩენილ 11 თვეში რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ, რომ რადიკალურად შემოატრიალოს სიტუაცია.

***– როდესაც ვსაუბრობთ მთავრობის არაეფექტურობასა და დაბალ რეიტინგზე, ეს არ უნდა გახდეს მინისტრთა კაბინეტის გადახალისების მიზეზი?***

– სახელებისა და გვარების შეცვლა არაფერს მოიტანს, თუ არ შეიცვალა მანკიერი პოლიტიკა და არ გაჩნდა გაუმჯობესების ნიშნები. კი ბატონო, ხადურის მაგივრად მოვა სხვა, მაგრამ, თუ არ შეცვალა ის ფისკალური პოლიტიკა, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო ატარებდა, თუ არ შეცვალა დაგეგმარების ის პოლიტიკა, რომელიც ყველა ექსპერტის მიერ მიჩნეული იქნა არასწორად, მაშინ რა მნიშვნელობა ექნება საკადრო ცვლილებას? მე მგონია, რომ არავითარი.

***– ფიქრობთ, რომ მოქმედების თავისუფლება იქნება ანუ ქვეყანა ერთპიროვნული მმართველობიდან გამოვა?***

– სხვანაირად, უბრალოდ, შეუძლებელია იმიტომ, რომ თუ ეს ვერ გააცნობიერეს მმართველ კოალიციაში, თუ გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის წარმოების პროცესი არ შეიცვალა, არ მგონია, რომ მმართველ კოალიციას არჩევნებზე რაიმე სერიოზული წარმატების იმედი შეიძლება ჰქონდეს.

**ფორ.გე, თამთა ქარჩავა**

# რუსუდან შარაძე: „მურუსიძის არჩევას არავის შევარჩენთ!“

**გულიკო ბალაძე**

**იუსტიციის საბჭოს მდივან ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოში 3 წლით გამწესებას საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.**



აი, რას წერს ფეისბუქზე გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე:

– იწერება, რომ მურუსიძე ხელისუფლებას არ აურჩევია, საბჭოს წევრებმა აირჩიესო. გასაგებია, მაგრამ ჩვენ ვის მოვთხოვოთ პასუხი, ჩინეთის ხელისუფლებას? ვინაა პასუხისმგებელი იმაზე, რომ ეს კაცისმკვლელები დღემდე ვერ აღკვეთეს?

მურუსიძის არჩევით, მთელ ქართველ ხალხს თავზე გადაგვიარეს, არათუ დახოცილებს, ჩვენც, ცოცხლებსაც. ხალხი არ ვიყოთ, ეს თუ ვინმეს შევარჩინოთ, ვინც არ უნდა იყოს!

სად ხართ სანდრო გირგვლიანის სახელით თანამდებობებს მომხტარო პოლიტიკოსებო და „გულღია“ ბიჭებო, კარგია თბილი სკამები?

სად ხართ და უმრავლესობა აქ ხართ, ჩემს ფრენდებში. იღონეთ რამე, სანამ იმ 10 მოსამართლესთან და მურუსიძესთან ერთად თქვენც გამოგათრიეთ მაგ კაბინეტებიდან. ვის სისხლზე ხართ მოსულები, არ დაგავიწყდეთ და ვინ რისი გამკეთებლები ვართ, არც ის დაივიწყოთ!

* * *

**„ახალი თაობა“ რუსუდან შარაძეს დაუკავშირდა.**

***– ქალბატონო რუსუდან, ფიქრობთ, რომ ხელისუფლების ჩარევით მოხდა მურუსიძის დანიშვნა მოსამართლედ?***

– ფაქტი ჯიუტია, ხელისუფლების მიერ იუსტიციის საბჭოში წარდგენილმა სამმა წევრმაც მხარი ლევან მურუსიძეს დაუჭირა. ევა გოცირიძემ, კახა სოფრომაძემ და ვახტანგ თორდიამ გაავრცელეს განცხადება, სადაც, თავიანთ ჭკუაში, ახსნეს მიზეზები, რაც, ჩემი აზრით, სამარცხვინო იყო, იმდენად სუსტი არგუმენტები წარმოადგინეს. ვერ გეტყვით, რატომ მოხდა ასე. ეს ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ.

რუსუდან შარაძის განცხადებით, მურუსიძის მოსამართლედ გამწესება უდიდესი სირცხვილი და შეურაცხყოფაა ქართველი ერისთვის.

– ჩემი აზრით, კედელთანაც უნდა მიაყენოთ ჟურნალისტებმა, რადგან ლევან მურუსიძის მოსამართლედ „არჩევა“, თუნდაც 3 წლით, არის უდიდესი სირცხვილი, მთელი ქართველი ხალხის შეურაცხყოფა, აღარაფერს ვამბობ პირადად სანდრო გირგვლიანზე, მისი ოჯახის წევრებზე ან სულხან მოლაშვილზე. მურუსიძის არჩევით ეს ადამიანები, ფაქტობრივად, თავიდან მოკლეს და აწამეს, – აცხადებს რუსუდან შარაძე.

***– იუსტიციის საბჭო დამოუკიდებელი არ არის?***

– იუსტიციის საბჭო დამოუკიდებელი არ არის. მე ამ სამი წევრისგან გამიკვირდა, თორემ მოსამართლეთა დიდი ნაწილი რომ გასვრილია და უამრავ შავბნელ საქმეშია გარეული, მკვლელი სააკაშვილის ავბედითი საქმეების თანამონაწილეა, ეს ბავშვმაც იცის.

2012 წელს ახალმა ხელისუფლებამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტს არ მიმართა, კონსტანტინე კუბლაშვილს საშუალება მისცა, იუსტიციის საბჭო თავისი კადრებით დაეკომპლექტებინა.

ეს კოაბიტაციის ბრალი იყო თუ უცხოეთის ზეწოლის, ფაქტია, რომ მაშინ ხელისუფლებამ საქმე არ გაირთულა და ახლა ვიმკით შედეგებს. მურუსიძის არჩევამ აჩვენა, რომ თავის დროზე იუსტიციის საბჭოში „ქართულ ოცნებას“ ნაცმოძრაობის მომხრეები აურჩევია.

***– სასამართლო ხელისუფლების გაჯანსაღება კუბლაშვილის იმპიჩმენტით ხომ არ უნდა დაწყებულიყო?***

– არა მარტო კუბლაშვილის იმპიჩმენტი უნდა მომხდარიყო, არამედ მთლიანად ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლებულიყო, როგორც დამნაშავე პარტია, ხოლო მისი ლიდერები – როგორც მკვლელები, მწამებლები, ხაზინის ქურდები, ქვეყნის გამყიდველები.

***– რამ შეუშალა ხელი ამ პარტიისა და მათი ლიდერების გასამართლებას?***

– როგორც ვიცი, პარტია და რიგი პიროვნებები არ გასამართლდნენ საერთაშორისო ზეწოლისა და გარედან თავს მოხვეული კოაბიტაციის შედეგად.

ამას ემატება უამრავი ჩანერგილი, გამცემი თუ საკუთარ ჯიბესა და მდგომარეობაზე ორიენტირებული გაქსუებული მოხელე; ე.წ. არასამთავრობო, გრანტიჭამია დაჯგუფებები და ა.შ. ან კიდევ პირადი წყენის გამო რამდენი ე.წ. პოლიტიკოსი და ექსპერტი უთხრის ძირს სახელმწიფოს?! ხალხი დაბნეულია, ვეღარ გაიგო, ვინ ვინ არის.

ამასობაში ყველაფერზე წამსვლელი სააკაშვილი და მისი ბანდა, პიარის ვირტუოზები, თავიანთ შავ საქმეს ბოლომდე – ვერა, მაგრამ მაინც აკეთებენ.

***– მომხდარის გამო საზოგადოებაში პროტესტი დიდია. ახლა რაიმეს გაკეთება შეიძლება?***

– ვფიქრობ, ხალხი თუ ვიმარჯვებთ, თუ გაიმართება შეურიგებელი საპროტესტო აქციები, სათითაოდ ყველა ადამიანი მოიხდის ვალს, თუნდაც იმით, რომ პროტესტის დროს სახლში არ დარჩება, ჯერ კიდევ შეიძლება მიზნის მიღწევა და ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენა.

***– ბატონ გურამის საქმეშიც ხომ არ მონაწილეობდა მურუსიძე?***

– არა, ჩვენს საქმეში მურუსიძე არ მონაწილეობდა.

# მანანა კობახიძე ალეკო ელისაშვილს სასამართლოში უჩივლებს

## ელისაშვილი: „კობახიძეს სასამართლოში სიამოვნებით დაველაპარაკები“

ელისო კილაძის შემდეგ პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე ცილისწამებისთვის ალეკო ელისაშვილსაც უჩივლებს.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მისი ადვოკატი ამ საკითხზე უკვე მუშაობს.





– ვგეგმავთ ბატონი ალეკოს მიმართაც სარჩელის შეტანას. ადვოკატი მუშაობს. ყველა სამართლებრივ გზას გამოვიყენებთ საიმისოდ, რომ ცილისმწამებლებს პასუხი გავცეთ. სარჩელი აუცილებლად შევა, უბრალოდ ახლა ამის დრო ნამდვილად არ არის, ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. მე დროს არ დავკარგავ, ამას უშუალოდ ადვოკატი მიხედავს, – განაცხადა კობახიძემ.

აღნიშნულ ინფორმაციაზე რუსთავი 2-თან კომენტარი ალეკო ელისაშვილმაც გააკეთა და განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით დაელაპარაკება სასამართლოში კობახიძესაც და მის ამხანაგ ქალსაც, რომლებიც პატიმრების ხარჯზე გამდიდრებას აპირებდნენ.

* * *

25 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა იმედთან საუბარში დაადასტურა, რომ ელისაშვილთან მაღალჩინოსნების მესიჯებზე საუბარი ნამდვილად ჰქონდა და ის დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა.

– მე პრინციპად მაქვს და აქამდე ვახერხებ, რომ იმას, რაც კაბინეტებში და ორ ადამიანს შორის ითქმევა, საზოგადოებაში დეტალურად არ ვიხილავ. რადგან საქმეა აღძრული და რაღაც პროცესი მიდის, შემიძლია მარტივად გითხრათ ის და დეტალებს არ ჩავუღრმავდები, რომ 2014 წლის გაზაფხულზე, შევხვდი ალეკოს, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

შეხვედრაზე ალეკო ელისაშვილმა თქვა, რომ მასზე ხდება ზეწოლა.

– ჩემი პასუხი იყო მარტივი – ვუთხარი, რომ, თუ ვინმე შენზე ზეგავლენას შეეცდება, იმ წუთას გადმოამისამართე ჩემთან-მეთქი. ამით ეს თემა დავამთავრეთ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დავავალე, რომ ამ საკითხისთვის მიეხედა.

გიდასტურებთ, რომ შეწყალების კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე და ჩემ მიერ სანდო ადამიანი ალეკო ელისაშვილი, რომელსაც მე ვიცნობ, როგორც ძალიან პატიოსან ადამიანს, შემოვიდა, პრობლემა შემოიტანა და მე ეს პრობლემა გადავჭერი. ეს იყო 15-წუთიანი თემა, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ქვეყნის პირველი პირის ინფორმაციით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პროკურატურას 8 ათას გვერდამდე დოკუმენტური მასალა გადაუგზავნა. მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზადაა.



**მარგველაშვილი: „ელისაშვილზე ზეწოლას ვინც შეეცდება, ჩემთან მოვიდეს“**

– მე ვარ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც უნდა იყოს ყველაზე კანონმორჩილი. შესაბამისად, მე ყოველთვის მზად ვარ, გამოძიებასთან ვითანამშრომლო, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილი გამოთქმულ მოსაზრებებსაც გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ ალეკო ელისაშვილის გააქტიურება და შეწყალებასთან დაკავშირებული საკითხის წამოწევა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ არის ორკესტრირებული.

პრეზიდენტის თქმით, ელისაშვილი იმდენად დამოუკიდებელი ადამიანია, რომ ძნელად წარმოუდგენია, ის ვინმემ მართოს.

– ამ კითხვაზე არ ვაპირებდი, რომ მეპასუხა, მაგრამ ვუპასუხებ იმდენად, რამდენადაც ალეკოს ღირსება აქვს შელახული, რადგან საუბარია, რომ ის შეიძლება მართო და ათამაშო ამ საქმეში. აბა, ცადოს ვინმემ და მართოს ალეკო ელისაშვილი – ის დამოუკიდებელი ადამიანია, დამოუკიდებლად გახდა დეპუტატი. ალეკო ელისაშვილი არის სინდისიერი ადამიანი. მისი ორკესტრატორი ძალიან ძნელად წარმომიდგენია ვინმე, – განმარტა გიორგი მარგველაშვილმა.

# ქართული ჯარი ქართული ხორცით იკვებება



საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის 14 სამხედრო ბაზა 11 დეკემბრიდან ახალი ქართული ხორცით მარაგდება.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 25 დეკემბერს ახალი ქართული ხორცით დამზადებული კერძები ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში" თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თინა ხიდაშელმა, მისმა პირველმა მოადგილე დავით ებრალიძემ და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ აგლაძემ ჟურნალისტებთან ერთად გასინჯეს.

როგორც უწყებაში განმარტავენ, ადგილობრივი წარმოების ახალი ხორცის შეტანა ქართულ ჯარში უპრეცედენტოა და საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს.

ქართული საქონლის ხორცის შესყიდვაზე ღია ელექტრონული ტენდერი 27 ოქტომბერს გამოცხადდა. ტენდერში შპს „ახალმა ხორცმა" გაიმარჯვა.

თინა ხიდაშელმა ადგილობრივი წარმოების პროდუქტით ქართული ჯარის მომარაგებისა და ქართული ბიზნესის განვითარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

— ზაფხულში საზოგადოებას პირობა მივეცით, რომ ქართულ ჯარში ქართულ კვებას თანდათანობით შემოვიტანდით. ეს ძალიან ბევრ მიზანს ემსახურება. გარდა იმისა, რომ სამხედრო მოსამსახურეები ჯანსაღ, ახალ საკვებს იღებენ, ეს ეხმარება ქართული წარმოების განვითარებას, ასაქმებს ხალხს ჩვენს ქვეყანაში. კვებაში დაახლოებით 40 მილიონამდე ლარს ვხარჯავთ და ამ თანხის უზარმაზარი ნაწილი მიდის ქვეყნის გარეთ. ვფიქრობთ, რომ ეს აბსოლუტურად არასწორია, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მან აღნიშნა, რომ იანვრიდან მთელ საქართველოში ყველა საჯარისო ფორმირება უკვე ქართულ ხორცზე გადავა.

— იანვარში ასევე გამოვაცხადებთ ტენდერს ქათმის ხორცზე, თანდათანობით ვაგრძელებთ მოლაპარაკებებს ბოსტნეულსა და ყველა იმ პროდუქტთან დაკავშირებით, რომლის წარმოებაც ქვეყანაში პრობლემას არ წარმოადგენს. ამ ყველაფერს მხოლოდ ორგანიზება სჭირდება. ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი როგორც ჯანსაღი პროდუქტით ჩვენი ჯარის მომარაგებას, ასევე ქართული ბიზნესის განვითარებას, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით მომარაგება თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომლის მიზანი ქართული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობაცაა.

შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს მიერ 32 ელექტრონული ტენდერი 100-ზე მეტი დასახელების პროდუქტზეა გამოცხადებული, რომელთა საერთო ღირებულება 15.178.726 ლარს შეადგენს.

**ბიპიენი**

# ცესკო 2915 წლით კმაყოფილია




ცენტრალური საარჩევნო კომისია 2015 წლის საქმიანობასთან დაკავშირებით შემაჯამებელ განცხადებას ავრცელებს. მასში ნათქვამია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ ორგანიზება გაუწია ორ შუალედურ არჩევნებს: 31 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს — საკრებულოების შუალედური არჩევნები და 31 ოქტომბრის პარლამენტისა და საკრებულოების შუალედური არჩევნები.

ორივე არჩევნები, კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალე გარემოში წარიმართა; თითოეული ამომრჩევლისთვის ყველა პირობა იყო უზრუნველყოფილი. შემდგომ შეფასებებში დადებითად აისახა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა არჩევნების სათანადოდ ორგანიზებისა და ჩატარებისთვის.

ამჟამად კომისია კვლავ საარჩევნო რეჟიმშია, ვინაიდან 2016 წლის 28 იანვარს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევნები იმართება.

საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ყველასათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაა; 2015 წელს ცესკო აქტიურად მუშაობდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის, მათ შორის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორებიცაა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარების ხელშეწყობა და ინსტიტუციური გაძლიერება.

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ცესკოს სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით 2015-ში სამი ინოვაციური, საპილოტე პროექტი წარმატებულად განახორციელა.

საზოგადოების მაღალი ინტერესის და საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის გათვალისწინებით, ცესკო ზემოაღნიშნულ პროექტებს 2016 წელსაც განახორციელებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარებაზე. აღსანიშნავია, ცესკოს საქმიანობები ადაპტირებული საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უწყებებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. შედეგად, 2015 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ადაპტირებული შენობა-ნაგებობების რიცხვი, სადაც ძირითადად საარჩევნო უბნები იხსნება.

ანგარიშში ნათქვამია, აგრეთვე რომ 2015 წელს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, ცესკო ორიენტირებული იყო როგორც საერთაშორისო ურთიერთობებზე, ისე შიდა ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

2015-ში ცესკო მონაწილეობდა 30 საერთაშორისო ღონისძიებაში, მათ შორის სადამკვირვებლო მისიებში; ამასთან, ცესკომ საქართველოში ორ მნიშვნელოვან და წარმომადგენლობით საერთაშორისო კონფერენციას გაუწია ორგანიზება.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიღწევები აღიარებულია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც 2015 წელს ცესკოს საქმიანობების დადებით შეფასებებში აისახა.

**მედიანიუსი**

# საიუველირო კომპანიებს 2015 წელს ლარის გაუფასურების გამო ბრუნვა შეუმცირდათ



საიუველირო კომპანიები 2015 წელს აჯამებენ.

სამკაულების იმპორტიორი უმსხვილესი კომპანია „ბაკარას" დირექტორი რადიო „კომერსანტთან" აცხადებს, რომ 2015 წელს, გასულ წელთან შედარებით, ზრდა არ დაფიქსირებულა და, პირიქით, ეს ბაზარი შემცირდა, რაც ძირითადად ვალუტის კურსის ცვალებადობას უკავშირდება.

გია კიკნაძე ამბობს, რომ მომხმარებელი წელს უფრო თავშეკავებულია. მისივე თქმით, კურსის ცვლილება ფასებზეც აისახა, რადგან „ბაკარა" პროდუქციის იმპორტს ახდენს.

კიკნაძის თქმითვე, შექმნილ სიტუაციაში ძირითადი ფაქტორი არის ფსიქოლოგიური მომენტი, მოსახლეობას არასტაბილურობის განცდა ჰქონდა და, აუცილებელი შესყიდვების გარდა, სხვა შენაძენისგან თავს იკავებდა. შედეგად ბრუნვები შემცირდა.

„ბაკარას" დირექტორის განცხადებითვე, გასულ წელთან შედარებით, შემცირება დაახლოებით 5-10% იყო. ამასთან, გია კიკნაძე მომავალ წელთან დაკავშირებით ოპტიმისტურად არიან განწყობილი. კომპანია გაზაფხულზე პეკინზე მაღაზიას გახსნის, თუმცა სამომავლო გაფართოება ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე იქნება დამოკიდებული.

„ბაკარას" პროდუქცია საშუალო და დაბალ სეგმენტზეა გათვლილი, ფასები კი ძირითადად 100 ლარის ფარგლებში მერყეობს.

იტალიური ბრენდის, „რობერტო ბრავოს" წარმომადგენლობაში კი აცხადებენ, რომ მთლიანობაში კომპანიისთვის ნორმალური წელი იყო და 2014 წლის ანალოგიური მაჩვენებელი მიიღეს.

წელს „რობერტო ბრავოს" მაღაზია ჭავჭავაძის გამზირიდან „აქსის შოფინგის" სავაჭრო ცენტრში გადავიდა, სადაც კომპანიამ საკუთარი ფართი იყიდა. მათივე მტკიცებით, ვალუტის გაუფასურება პროდუქციის ფასებზე არსებითად არ ასახულა.

„რობერტო ბრავოს" პროდუქცია საშუალო და მაღალ სეგმენტზეა გათვლილი, ფასები კი 100 დოლარიდან იწყება.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# სახალხო დამცველი მოსამართლეთა შერჩევის პროცესით უკმაყოფილოა

საქართველოს სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის განცხადებით, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნას არსებითი გავლენა აქვს ქვეყანაში დემოკრატიული წესრიგის, კანონის უზენაესობაზე აგებული და ადამიანის უფლების დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის თავდაპირველი გარანტიაა ისეთი კადრების შერჩევა, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ მოსამართლის მაღალ სტატუსს.



საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა კანდიდატურების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანი იყო, სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული საერთო სასამართლოების მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება. სწორედ ამიტომ სახალხო დამცველმა მოსამართლეთა კანდიდატებთან გასაუბრების დაწყებამდე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ცალკეული მოსამართლეების საქმიანობის შესახებ, 2005 წლიდან დღემდე ერთად თავმოყრილი და შეჯამებული ინფორმაცია წარუდგინა. ინფორმაცია ეფუძნებოდა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პერიოდულად წარდგენილ რეკომენდაციებს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

— სამწუხაროდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ისე შეაჯამა კონკურსის შედეგები, რომ არც ერთ ეტაპზე არ განუხილია სახალხო დამცველის მიმართვა. კონკურსის მიმდინარეობის პროცესში არ მომხდარა ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანა და მასზე მსჯელობისა და დისკუსიის წარმართვა; შესაბამისად, სახალხო დამცველისთვის უცნობია სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების საკითხი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსამართლეების შერჩევა/დანიშვნის პროცესი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მკაცრი კრიტიკის ფონზე წარიმართა. არაერთი საფუძვლიანი შენიშვნა იქნა გამოთქმული კონკურსის მიმდინარეობის ეტაპზე, თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან არ მომხდარა ადეკვატური რეაგირება დასმულ პრობლემებზე. საყურადღებოა შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან მოსამართლეთა თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების ბიოგრაფიების არგამოქვეყნებას, კონკურსის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის საკითხზე არასათანადო რეაგირებას, გასაუბრების პროცესში კანდიდატების არათანაბარ პირობებში ჩაყენებას, საბჭოს ცალკეული წევრების სხდომებზე გამოუცხადებლობის შემთხვევებს და ა.შ. — აცხადებს სახალხო დამცველი.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესის მსგავსი ხარვეზებით წარმართვა ხელს არ უწყობს ქვეყანაში დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად ძლიერი სასამართლო სისტემის შექმნას.

მისი აზრით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ უზრუნველყო მოსამართლეების შერჩევა/დანიშვნის პროცესის ისე წარმართვა, რომ მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, გარეშე დამკვირვებლისათვის ობიექტური და დასაბუთებული ყოფილიყო. სამწუხაროდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმართული პროცესის მიმართ საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში არსებული ლეგიტიმური კითხვები კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოების უნდობლობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოვლენები, ერთი მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიმდინარეობის პროცესს და, მეორე მხრივ, საზოგადოებაში აჩენს სერიოზულ კითხვებს საბჭოს ობიექტურობის შესახებ.

სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, დროულად განაახლოს სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტების განხილვა, რათა მოსამართლეთა დანიშვნის შემდგომი პროცესი სრულყოფილად წარიმართოს.

**მედიანიუსი**

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ბაღი არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც მხოლოდ ძიძების ადგილი“

## „მისი პასუხისმგებლობა ბევრად დიდია“

რამდენად განსაზღვრავს სკოლამდელი ასაკი ბავშვის შემდგომ განვითარებას, რა როლს თამაშობს საბავშვო ბაღი და აუცილებელია თუ არა გუნდური მუშაობა იმისთვის, რომ პატარამ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოს?

ჩვენს კითხვებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სკოლამდელი განათლების მიმართულებით, სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი **ხათუნა დოლიძე** პასუხობს.

***– რამდენად განსაზღვრავს სკოლამდელი ასაკი ბავშვის შემდგომ განვითარებას?***

– სკოლამდელ ასაკს დიდი მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე კვლევები ამტკიცებს, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ასაკი. ამაზე ხაზგასმა ხდება იმ თვალსაზრისითაც, რომ ნერვული სისტემისა და თავის ტვინის პროცენტულად დიდი ნაწილი, ორგანულ დონეზე, მწიფდება სწორედ ამ პერიოდში, ამიტომ ეს არის მნიშვნელოვანი და სენსიტიური დრო იმ მხრივ, რომ კარგი გარემო უნდა შევუქმნათ ბავშვებს განვითარებისა და შესაძლებლობების გამოვლენისთვის.

***– რა როლი აკისრია საბავშვო ბაღს სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებაში?***

– ბაღი არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ძიძების ადგილი, სადაც ბავშვი უსაფრთხოდ უნდა იყოს, რაღაც პერიოდი დაჰყოს და კარგად იკვებოს. კი, უსაფრთხოება კარგია, კვება – მნიშვნელოვანი, მაგრამ ბაღის პასუხისმგებლობა არის ბევრად მეტი, ვიდრე მხოლოდ დედის გათავისუფლება და ბავშვის უსაფრთხო ადგილზე მოთავსება.

ეს არის ადგილი, რომელიც რეალურად უნდა ქმნიდეს გამომწვევ გარემოს განვითარებისთვის და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისთვის.

რაზეც ახლა მე ვსაუბრობ, არის ვიგოტსკის „განვითარების უახლოესი ზონა“. ყველა ბავშვს აქვს გარკვეული დიაპაზონი ანუ განვითარების დაბალი და მაღალი ზღურბლი.

იმას, მე განვითარების მაღალ ზღურბლს მივაღწევ თუ დაბალი ზღურბლის ფარგლებში გავაგრძელებ განვითარებას, განაპირობებს გარემო. ამ გარემოში იგულისხმება როგორც ოჯახი, მშობელი, ისე ბაღი და ის უახლოესი სოციალური გარემო, რომელშიც ბავშვი იმყოფება.

ამ მხრივ ბაღის, მისი აღმზრდელისა და ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობა არის მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ ისინი უნდა ქმნიდნენ მასტიმულირებელ და ყოველმხრივ ხელშემწყობ გარემოს იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოს. ყველას განვითარების ინდივიდუალური ტემპი და თავისებურება აქვს. ბაღი ამ საჭიროებებს უნდა პასუხობდეს.



**„ჩვენთან ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის როლი, რადგან ბაღი ასრულებს იმ ფუნქციას, რომ დროულად აღმოაჩინოს, თუ ბავშვს სჭირდება მიხმარება ქცევის მართვაში“**

წლებია, ამ მხრივ წინ მიდის ბაღის მომსახურება. ბაღის თანამშრომლებმა დაიწყეს ზრუნვა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, აღმზრდელები ცდილობენ, რომ ეზიარონ თანამედროვე მიდგომებს. ის დამატებითი პერსონალი, რომელიც ბაღში არის ფსიქოლოგის, სპეცპედაგოგის სახით, ნერგავს ამ ახლებურ მიდგომებს, რომლებიც მტკიცებულებებზეა დაფუძნებული.

***– რამდენად მნიშვნელოვანია ბაღში ფსიქოლოგების როლი?***

– არსებობს ქვეყნები, სადაც ეს სერვისები იმდენად აწყობილია – რეფერალური სისტემა, გარემოსახურების სერვისები, პედიატრიული მომსახურება ბავშვის განვითარების თვალსაზრისით, იმდენად დროულად ხდება ადრეულ ეტაპზე საჭიროებებზე პასუხი და მომსახურების უზრუნველყოფა ბავშვებისთვის, რომ ბაღებში ფსიქოლოგი არ არის. არის მეთოდისტი, რომელიც მეთოდურ ნაწილზე მუშაობს. ჩვენთან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის როლი, იმიტომ, რომ ასეთი ტიპის სერვისები ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის და ბაღი ასრულებს იმ ფუნქციას, რომ დროულად აღმოაჩინოს, თუ ბავშვს სჭირდება მიხმარება ქცევის მართვაში.

***– მშობლის ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, კომუნიკაცია მშობელსა და ფსიქოლოგს, მშობელსა და ბაღის სხვა თანამშრომლებს შორის საჭიროა?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ერთ-ერთი მთავარი საჭიროება არის ის, რომ უნდა გაიზარდოს და გაძლიერდეს მშობლის და ოჯახის ჩართულობა. ფსიქოლოგმა ამ მხრივაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს, იმიტომ, რომ ბაღი უნდა იყოს ღია და უზრუნველყოს ისეთი პირობები, რომ მშობელი ჩართოს. მან უნდა მოძებნოს გასაღები თითოეული მშობლისა და ოჯახისთვის.

სწორედ გუნდური მუშაობაა წარმატების ერთ-ერთი ფორმულა, თუმცა, არსებობს ბევრი ფაქტორი, რაც ხელს უშლის და ბარიერებს უქმნის ამ თანამშრომლობას. ესეც ფსიქოლოგისა და ადმინისტრაციის ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა, რომ ამ საჭიროებებს უპასუხოს, განსაზღვრონ ბაღის ისეთი პოლიტიკა, რომ ხელი შეუწყონ მშობლის აქტიურ ჩართულობას.



ხათუნა დოლიძე

***– იქმნება 3 ახალი სახელმძღვანელო – ფსიქოლოგების, ლოგოპედების და სპეცპედაგოგების გზამკვლევი ბაღში მუშაობისთვის. რას მოიცავს ისინი შინაარსობრივად და რა ლიტერატურაზე დაყრდნობით იქმნება?***

– შეიქმნება გზამკვლევები ბაგა-ბაღებში მომუშავე ფსიქოლოგებისთვის, ლოგოპედებისა და სპეციალური განათლების პედაგოგებისათვის.

თითოეულ გზამკვლევში განხილული იქნება შესაბამისი სპეციალისტების როლი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, მოცემული იქნება ბავშვის სხვადასხვა სფეროს განვითარების შეფასების ინსტრუმენტები.

გზამკვლევებში შევა თითოეული სპეციალობის შესაბამისი თეორიულ-მეთოდური მასალები და ასევე სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ბაგა-ბაღის ფსიქოლოგებს, ლოგოპედებსა და სპეციალური განათლების პედაგოგებს თავიანთი მოვალეობების უფრო ეფექტურად განხორციელების საშუალებას მისცემს.

***– როგორ მუშაობს ფსიქოლოგი საბავშვო ბაღში?***

– ამის თქმა რთულია, იმიტომ, რომ ყველა ინდივიდუალურად მუშაობს. რაც შემიძლია ზოგადად ვთქვა, ესაა შეხვედრები ოჯახებთან, სხვადასხვა ასაკობრივ თავისებურებაზე საგანმანათლებლო შეხვედრები, რაც მნიშვნელოვანი წამოწყებაა. ამას თითოეული ფსიქოლოგი თავისებურად ართმევს თავს; ასევე, შეხვედრები აღმზრდელებთან და მათი დახმარება გარკვეულ შემთხვევებში.

***– ინკლუზიურ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობაზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა.***

– ფსიქოლოგის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომ გააძლიეროს და ხელი შეუწყოს ინკლუზიურ განათლებას. ინკლუზიური განათლება ჩვენთან ასოცირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ჩართულობასთან, მაგრამ ეს უფრო დიდ კონტინგენტს მოიცავს.

არიან ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემების მქონე ბავშვები, პატარები ეთნიკური უმცირესობიდან, არაქართულენოვანები ან გამორჩეული ნიჭის მქონე ბავშვები.

ინკლუზიური განათლება არის პრაქტიკულად იდეალური საგანმანათლებლო სივრცე, რადგან ჩვენ ვსაუბრობთ, რომ უზრუნველვყოთ ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომ ყველა ბავშვის ჩართულობა იყოს გარანტირებული.

ჩვენ ამ მხრივაც ბევრი ბარიერი გვაქვს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც კვალიფიციური, ისე მატერიალური რესურსების არასაკმარისობასთან, აგრეთვე ბავშვების დიდ რაოდენობასთან, რადგან მოთხოვნა ძალიან გაიზარდა.

შესაბამისად, ეს ბარიერები აქვს აღმზრდელს, რადგან ბევრ ბავშვთან ერთად, დამატებით უნდა იზრუნოს ინდივიდუალური გეგმის შექმნაზე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვისთვის და მის ინდივიდუალურ საჭიროებებს მოარგოს ეს გარემო. ამ მხრივ ფსიქოლოგი კიდევ ერთი დამხმარე საშუალებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაღების ნაწილს ჰყავს და მალე ყველას ეყოლება სპეცპედაგოგი, რომლის მოვალეობაა, რომ ამ მხრივ დაეხმაროს აღმზრდელებს, ფსიქოლოგის თანამონაწილეობაც ძალიან მნიშვნელოვანი.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობა წარმატებულია მაშინ, როცა ვმუშაობთ გუნდურად – მშობლის, სპეცპედაგოგის, ფსიქოლოგის, აღმზრდელის, ლოგოპედის, გარეთა სპეციალისტის (თუ ასეთი ჰყავს ბავშვს) ჩართულობით.

---

## „ბიოს“ რეალიზატორი დააკავეს

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად თურქეთის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ოზგურ კ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, ხოლო საქართველოს მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული ბესიკ ჯ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბესიკ ჯ-ს პირადი ჩხრეკისას ერთ შეკვრად დაფასოებული 0,716 გრ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება „ბიო“ ამოიღეს. ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ფსიქოაქტიური ნივთიერება ბრალდებულმა თურქეთის მოქალაქე ოზგურ კ-სგან შეიძინა. სამართალდამცველებმა ოზგურ კ-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის სალონის ჩხრეკისას და ასევე ავტომანქანაში სპეციალურად მოწყობილი სამალავიდან 98 გრ „ბიო“ ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით ოზგურ კ-ს ტეტრაჰიდროკანაბინოლის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.



ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება მიმდინარეობს ოზგურ კ-ს მიმართ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით), ხოლო ბესიკ ჯ-ს მიმართ – ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

**ნიუსპოსტი**

---

## გიორგი ოქროპირიძეს ლაშა მახარაძის მკვლელობისთვის 20 წელი მიესაჯა



ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეში ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძეს სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ოქროპირიძე ნაფიცმა მსაჯულებმა 25 დეკემბერს დამნაშავედ ცნეს, ხოლო 26 დეკემბერს საბოლოო ვერდიქტი მოსამართლე ეკა არეშიძემ გამოაცხადა. გიორგი ოქროპირიძე უდანაშაულოდ ცნეს იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებაში, ხოლო განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ გამოაცხადეს.

ლაშა მახარაძე 2014 წლის 2 სექტემბერს თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მოკლეს.

აღნიშნულ განაჩენთან დაკავშირებით სასამართლომ სპეციალური განცხადება გაავრცელა:

– 2015 წლის 26 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში სასჯელის დანიშვნის სხდომა გაიმართა ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობის დანაშაულის ფაქტზე, ნაფიც მსაჯულთა განსჯად სისხლის სამართლის საქმეზე.

ბრალდების მხარის პოზიციის გათვალისწინებით, ნაფიცი მსაჯულები სასჯელის დანიშვნის სხდომაში არ მონაწილეობდნენ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული ვერდიქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა განაჩენი, რომლის თანახმად, გ. ოქროპირიძეს, ლაშა მახარაძის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისთვის, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 20 (ოცი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ოქროპირიძეს ბრალად ედებოდა: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, კერძოდ – არაერთგზის; ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება.

2015 წლის 25 დეკემბერს ნაფიცმა მსაჯულებმა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისთვის გ. ოქროპირიძე დამნაშავედ ცნეს. მათ გამამტყუნებელი ვერდიქტი 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ მიიღეს. ნაფიცმა მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი მიიღეს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისათვის და ბრალდების ამ ნაწილში გ. ოქროპირიძე უდანაშაულოდ ცნეს.

განაჩენი გამამტყუნებელ ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს ერთჯერადად, საკასაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას, – აღნიშნულია სასამართლოს განცხადებაში.

**ნიუსპოსტი**

---

## სტამბოლის აეროპორტში აფეთქება ქურთებმა მოაწყვეს

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ 23 დეკემბერს სტამბოლის აეროპორტში აფეთ-



ქება მოხდა, რის შედეგად დამლაგებელი ქალი დაიღუპა, ერთი ადამიანი კი დაშავდა.

მომხდარის გამო პასუხისმგებლობა ქურთულმა ტერორისტულმა ორგანიზაცია „თავისუფალი ქურთისტანის ქორებმა“ აიღო.

ეს ორგანიზაცია თურქეთის ტერიტორიაზე ახალი ტერაქტებით იმუქრება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## ამერიკელმა თოფის წმენდისას შემთხვევით თავი მოიკლა

ფლორიდის შტატში ამერიკელს, რომელიც თავის ნათესავს ვიდეოკავშირით უჩვენებდა ცეცხლსასროლი ია-



რაღის წმენდის პროცესს, იარაღი გაუვარდა და ტყვია მკერდში მოირტყა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა მაიამი-დეიდის ოლქის პოლიციის წარმომადგენელზე დაყრდნობით ავრცელებს.

ინციდენტის დროს 43 წლის ჰოსმელ ერერა საკუთარ სახლში იმყოფებოდა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

შემთხვევის ადგილზე პოლიციელები გასროლის თაობაზე რამდენიმე შეტყობინების მიღების შემდეგ მივიდნენ. მიმდინარეობს ინციდენტის გამოძიება. სხვა გარემოებები უცნობია.

## ცალთვალა კატა ინსტაგრამის ვარსკვლავი გახდა



ცალთვალა კატა, სახელად უესლი, ინსტაგრამის ვარსკვლავი ხუთი ათასზე მეტი ხელისმომწერით საკუთარი სახის წყალობით გახდა, რომელიც მეკობრის სახეს მიუგავს.

ამერიკის აიოვის შტატის მცხოვრებმა რაიან ჩარაის ტეილორმა ცხოველი თავშესაფრიდან წამოიყვანა და მისთვის სოციალურ ქსელში დახურული აკაუნტი შექმნა, სადაც შინაური ცხოველის სურათებს აქვეყნებს.

გოგონა, რომელიც ჟურნალში რედაქტორად მუშაობს, უესლის კატა-მეკობრეს უწოდებს. უესლის თავის ქალა დაზიანებული აქვს, პირიდან კბილები მოუჩანს და მარჯვენა თვალი აკლია. უცნობია, თუ რა გახდა ცხოველის ტრავმის მიზეზი.

— შოკირებული ვარ იმით, თუ რამდენი ხელისმომწერი ჰყავს უესლის აკაუნტს. სულ რაღაც 15 კვირის განმავლობაში მას უფრო მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე მე, — აცხადებს ტეილორი.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## იტალიაში კოკაინიანი ჩაი აღმოაჩინეს



იტალიის პოლიცია გაყიდვიდან ამოიღებს კოკაინის ფოთლებიან ბალახის ჩაის, რომელიც მაღაზიებში რამდენიმე წლის განმავლობაში იყიდებოდა.

მატონიზებელ სასმელში ნარკოტიკის შემცველობის თაობაზე მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც გენუელმა ავტობუსის მძღოლმა ჩვეულებრივი ტესტი გაიარა, რომელიც გათვალისწინებულია იმ კომპანიის წესდებით, რომელშიც ის მუშაობდა. ტესტის შედეგმა ორგანიზმში ნარკოტიკის არსებობა გამოავლინა.

38 წლის მძღოლმა რობერტომ განაცხადა, რომ აკრძალული ნივთიერება არასოდეს მოუხმარია და, მისი თქმით, ტესტის ჩაგდების ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს ჩაი, რომელიც მან მცირე ხნით ადრე დალია. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ სასმელის დალევის შემდეგ თავს ყოველთვის უფრო მხნედ გრძნობდა. როდესაც მას ექიმმა მოუსმინა, სთხოვა, რომ იმ ჩაის შეკვრა მისთვის მიეტანა.

ექიმმა ჩაი თავადაც დალია და ამის შემდეგ ტესტი გაიარა, რომელმაც ასევე აჩვენა მის ორგანიზმში კოკაინის არსებობა.

მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს სამართალდამცავ ორგანოებს. მათ გადაწყვიტეს, ჩაი, რომელიც მაღაზიაში იყიდებოდა, შეემოწმებინათ. დადგინდა, რომ მაღაზიის მფლობელი, რომელსაც ყველა აუცილებელი საბუთი ჰქონდა, რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაის კანონიერად ყიდულობდა მილანში პერუელი მწარმოებლისგან. ამასთან, აღნიშნული პროდუქცია უპრობლემოდ გადიოდა საბაჟო გაფორმების პროცედურას. პოლიცია ყველა იმ მაღაზიიდან ამოიღებს ამ საქონელს, სადაც ის იყიდება.

## მექსიკაში ყველაზე მსუქანი ადამიანი გარდაიცვალა



მექსიკელი ანდრეს მორენო სეპულვედა, რომელიც მსოფლიოს ყველაზე მსუქან ადამიანად ითვლებოდა, ქალაქ სიუდად-ობერონში გარდაიცვალა.

მორენოს ახლო ნათესავებმა დაადასტურეს, რომ ის პარასკევს, 25 დეკემბერს გარდაიცვალა. მას პერიტონიტის გართულების ფონზე გულის შეტევა დაემართა.

38 წლის ყოფილმა პოლიციელმა თავი ცუდად იგრძნო. ის „სასწრაფო დახმარების“ მანქანით გადაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

მორენო თავდაპირველად 450 კილოგრამს იწონიდა, რაც სარეკორდოდ ითვლებოდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მან ოქტომბერში გვადალახარას ერთ-ერთ საავადმყოფოში ბარიატრიული ოპერაცია გაიკეთა, წონაში 100 კილოგრამის დაკლება მოახერხა.

ნოემბერში მას განუვითარდა პერიტონიტი და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. ის საავადმყოფოდან გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა სახლში.

## კანადაში 60-მილიონიანი ჯეკპოტი მოიხსნა

კანადაში გაყიდულმა ერთ-ერთმა ლატარიის ბილეთმა მის მფლობელს 60 მილიონი კანადური დოლარი (43,3 მილიონი ამერიკული დოლარი) მოაგებინა.

ლატარიის გათამაშება 25 დეკემბერს გაიმართა და მაშინვე გაირკვა, რომ ჯეკპოტი გათამაშდა, ხოლო მომგებიანი ბილეთი ონტარიოს პროვინციის ქალაქ მისისოგაში იქნა შეძენილი.

გარდა ამისა, 35 ბილეთმა მოიგო პრიზი მაქსიმილიონი ანუ 1 მილიონი კანადური დოლარი.

## სტივ ჰარვის მორიგი შეცდომა



„მის სამყაროს“ კონკურსზე გამარჯვებულის შეცდომით გამომცხადებელმა წამყვანმა სტივ ჰარვიმ მორიგი შეცდომა დაუშვა. მან ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა მისალოცი, მხოლოდ მასში ყველა გულშემატკივარს შობის დღესასწაულის ნაცვლად აღდგომის დღესასწაული მიულოცა.

ჰარვიმ თავის მისალოცს აუზის ფონზე გადაღებული საკუთარი ფოტოსურათი დაურთო, ლობე კი ნაძვის ხის ტოტებითა და წითელი ბაფთებითაა შემკობილი. პოსტი 2,2 მილიონზე მეტმა ადამიანმა მოიწონა.

აღსანიშნავია, რომ 21 დეკემბერს მის მიერ „მის სამყაროს“ გამარჯვებულის დასახელებისას დაშვებული შეცდომის გამო ჰარვიმ ბოდიში ტვიტერში მოიხადა, თუმცა აქაც შეცდომა დაუშვა და არასწორად დაწერა იმ ქვეყნების სახელები, რომლებსაც გოგონები წარმოადგენდნენ. ამის გამო სოციალური ქსელის მრავალმა მომხმარებელმა გამოთქვა უკმაყოფილება. შედეგად ჰარვიმ ჩანაწერი წაშალა და მის ნაცვლად სხვა პოსტი განათავსა.

## საშობაო სადილი ძაღლებისთვის



ამერიკის კენტუკის შტატის ქალაქ ვერსალში ოჯახურმა წყვილმა კელი და ზაკ ფურეებმა თავიან ძაღლს ლაბრადორსა და მის შვიდ ოთხფეხა მეგობარს სურათი სადღესასწაულო სუფრასთან გადაუღო.

წყვილმა სურათი ადგილობრივ სატელევიზიო კომპანიას გაუგზავნა, რომელმაც ის ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

— როგორც ჩანს, ეს ოჯახი მზად არის სანტა-თათუნას დასახვედრად. და თქვენ თქვენს შინაურ ცხოველებს ამზადებთ დღესასწაულისთვის? — დაინტერესდა ტელეარხის რედაქცია.

ამ დროისთვის ფოტოსურათს 86 ათასზე მეტი მოწონება აქვს მიღებული.

## შვედეთში თივის თხის ფიგურა ისევ დაწვეს



შვედეთის ქალაქ ევლეს ცენტრში თივისგან დამზადებული თხის უზარმაზარი ფიგურა ისევ დაწვეს.

პირველად ფიგურა 1966 წელს შეიქმნა ადგილობრივი ზღაპრული პერსონაჟის პატივსაცემად და პირველად სწორედ მაშინ დაწვეს ახალი წლის ღამეს.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში უცნობმა პირებმა 27-ჯერ დაწვეს თხის ფიგურა. 2014 წელს თივის პერსონაჟი ტრადიციად ქცეულ ხვედრს გადაურჩა. ეს ისტორიაში სულ მეოთხედ მოხდა.

აღსანიშნავია, რომ ამჯერად პოლიციამ მოახერხა, დაეკავებინა 1990-იან წლებში დაბადებული მამაკაცი, რომელსაც სანთებელა და გაზეთი ჰქონდა მომარაგებული. ამავე დროს, სამართალდამცავები მეორე ეჭვმიტანილსაც ეძებენ, ხოლო თუ რა სასჯელი ელით ცეცხლის წამკიდებლებს, უცნობია.

## იტალიელი რეჟისორი სქესობრივი აღზრდის სწავლებით დაკავდება



იტალიელმა რეჟისორმა და მსახიობმა როკო სიფრედიმ, რომლის ფილმებიც მხოლოდ მოზრდილებისთვისაა შექმნილი, ონლაინპეტიცია გაუშვა ქვეყნის სკოლებში სქესობრივი აღზრდის გაკვეთილების შემოღების მოთხოვნით. პორნოგრაფიის დიდების ორი დარბაზის წევრმა განაცხადა, რომ ის თავად შეძლებს გაკვეთილების ჩატარებას.

— მზად ვარ, გამოვიყენო მთელი ჩემი გამოცდილება და პირადად გავუწიო რეკლამა აღნიშნულ ინიციატივას სკოლებში, — განაცხადა სიფრედიმ, რომელსაც პორნოს ჟანრში მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება აქვს.

მიმართვა, რომელიც იტალიის განათლების სამინისტროს ხელმძღვანელ სტეფანი ჯანინის მისამართითაა დაწერილი, მსახიობმა და რეჟისორმა ერთ-ერთ ვებგვერდზე განათავსა. ამ მომენტისთვის როკო სიფრედის მიერ დაწერილმა პეტიციამ 22,6 ათასი ხელმოწერა მოაგროვა.

— მე ამ ინიციატივით იმიტომ გამოვდივარ, რომ სექსი მშვენიერი რამაა, — განმარტა სიფრედიმ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სენეგალელმა ლტოლვილმა 400 ათასი ევრო მოიგო

სენეგალელმა ლტოლვილმა ესპანეთის საშობაო ლატარიაში ელ გორდო 400 ათასი ევრო მოიგო. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა ავრცელებს.



35 წლის მამაკაცი, სახელად ნგანი, ევროპაში მიგრანტებით სავსე ნავით 2007 წელს ჩავიდა. მისი თქმით, ნავზე 65 ადამიანი იმყოფებოდა და, რომ არა ესპანელი მაშველები, ლტოლვილები ნაპირამდე მიღწევას ვერ შეძლებდნენ.

ამის შემდეგ ნგანი მეუღლესთან ერთად ტენერიფეში დასახლდა, შემდეგ კი ესპანეთის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ როკეტას-დე-მარიში (პროვინცია ალმერია) გადაბარგდა. ბოლო რვა წლის განმავლობაში ნგანი ფერმებში მოსვლის აღებაზე მუშაობდა, მაგრამ, მისი თქმით, თავისი იღბლიანი ლატარიის ბილეთის შეძენამდე რამდენიმე დღით ადრე უმუშევარი დარჩა.

ტრადიციული საშობაო ლატარია ესპანეთში 1812 წლიდან ტარდება.

**განცხადებები**

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრი-გებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ინგლისს ესპანეთი შეუერთდა



## სტატისტიკა, ფსონები

წლის ბოლოს ინგლისს ისევ შეუერთდა ესპანეთი და ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში მხოლოდ ამ ორი ჩემპიონატის მატჩები გაიმართება.

ინგლისში უნდა გამოვყოთ წლის აღმოჩენის, პრემიერლიგის ლიდერ ლესტერისა და მესამეადგილოსან მანჩესტერ სიტის შეხვედრა. მანჩესტერის მეორე ნაწილს კი არანაკლებ საინტერესო ჯახი ელის – იუნაიტედი შინ დაუხვდება ჩელსის.

**ინგლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.12 ევერტონი-სტოკი | 1.95 | 3.5 | 3.8 |
| 28.12 უოტფორდი-ტოტენჰემი | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 28.12 ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 28.12 კრ.პალასი-სუონსი | 1.91 | 3.4 | 4.2 |
| 28.12 ნორვიჩი-ასტონ ვილა | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 28.12 მანჩესტერი-ჩელსი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 28.12 არსენალი-ბორნმუთი | 1.36 | 4.8 | 8.5 |
| 28.12 ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 29.12 ლესტერი-სიტი | 3.75 | 3.75 | 1.91 |
| 30.12 სანდერლენდი-ლივერპული | 4.75 | 3.6 | 1.75 |

**ევერტონი-სტოკი**

**ევერტონი:** ტრავმ-ჯეიმს მაკკარტნი, ტიას ბრაუნინგი, ბრაიან ოვიედო, ფილ იაგიელკა, სტივენ პიენაარი

**სტოკი:** ტრავმ-სტივენ აირლანდი, მარკ მუნიესა, გეოფ კამერონი, პიტერ კრაუჩი

**უოტფორდი-ტოტენჰემი**

**უოტფორდი:** ტრავმ-არავინ

**ტოტენჰემი:** ტრავმ-კლინტონ მუა, ალექს პრიჩარდი

**ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი**

**ვესტ ბრომვიჩი:** ბენ ფოსტერი

**ნიუკასლი:** ტრავმ-პაპის სისე, ღოლანდო აარონსი, მასაიდო ჰაიდარა, ტიმ კრული, გაბრიელ ობერტანი, სტივენ ტეილორი

**კრ.პალასი-სუონსი**

**კრ.პალასი:** ტრავმ-დუაიტ ჟილი

**სუონსი:** ტრავმ-ედერი

**ნორვიჩი-ასტონ ვილა**

**ნორვიჩი:** ტრავმ-მეტიუ იარვისი

**ასტონ ვილა:** ტრავმ-ჯორდან ამავი

**მანჩესტერი-ჩელსი**

**მანჩესტერი:** ტრავმ-ხესე ლინგარდი, მატეო დარმიანი, მარკოს როხო, ანტონიო ვალენსია, ლუკ შოუ

**ჩელსი:** ტრავმ-რადამელ ფალკაო

**არსენალი-ბორნმუთი**

**არსენალი:** ტრავმ-სანტი კაზორლა, ალექსის სანჩისი, დანი უელბეკი, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი

**ბორნმუთი:** ტრავმ-ჯუნიორ სტანისლასი, ჯოშუა კინგი, კალუმ უილსონი, მაქს გრადელი, ტაირონ მინგსი

**ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი**

**ვესტ ჰემი:** ტრავმ-ენდი კეროლი, უინსტონ რიდი, ვიქტორ მოსესი, მანუელ ლანძინი, დიარა სახო

**საუთჰემპტონი:** ტრავმ-ჯეი როდრიგესი

**ლესტერი-სიტი**

**ლესტერი:** ტრავმ-დანიელ დრინვათერი, ჯეფრი შლუპი

**სიტი:** ტრავმ-სამირ ნასრი

**სანდერლენდი-ლივერპული**

**სანდერლენდი:** ტრავმ-იუნის კაბული, ლი კატერმოლი, სებასტიან ლარსონი

**ლივერპული:** ტრავმ-ჯორდან როსიტერი, მარტინ შკრტელი, ჯეიმს მილნერი, დანიელ სტარიჯი, დანი ინგსი, ჯოზეფ გომესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 18 | 11 | 5 | 2 | 37-25 | 38 |
| 2.არსენალი | 18 | 11 | 3 | 4 | 31-18 | 36 |
| 3.სიტი | 18 | 11 | 2 | 5 | 37-20 | 35 |
| 4.ტოტენჰემი | 18 | 8 | 8 | 2 | 31-14 | 32 |
| 5.კრ.პალასი | 18 | 9 | 3 | 6 | 23-16 | 30 |
| 6.მანჩესტერი | 18 | 8 | 5 | 5 | 22-16 | 29 |
| 7.უოტფორდი | 18 | 8 | 5 | 5 | 23-18 | 29 |
| 8.ლივერპული | 18 | 7 | 6 | 5 | 21-22 | 27 |
| 9.ევერტონი | 18 | 6 | 8 | 4 | 32-24 | 26 |
| 10.ვესტ ჰემი | 18 | 6 | 8 | 4 | 26-22 | 26 |
| 11.სტოკი | 18 | 7 | 5 | 6 | 16-16 | 26 |
| 12.საუთჰემპტონი | 18 | 6 | 6 | 6 | 25-21 | 24 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 18 | 5 | 5 | 8 | 17-24 | 20 |
| 14.ბორნმუთი | 18 | 5 | 5 | 8 | 22-32 | 20 |
| 15.ჩელსი | 18 | 5 | 4 | 9 | 23-29 | 19 |
| 16.სუონსი | 18 | 4 | 6 | 8 | 16-24 | 18 |
| 17.ნორვიჩი | 18 | 4 | 5 | 9 | 20-32 | 17 |
| 18.ნიუკასლი | 18 | 4 | 5 | 9 | 19-33 | 17 |
| 19.სანდერლენდი | 18 | 3 | 3 | 12 | 19-37 | 12 |
| 20.ასტონ ვილა | 18 | 1 | 5 | 12 | 15:38 | 8 |

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.12 რეალი-სოსიედადი | 1.12 | 9.0 | 17.0 |
| 30.12 ლევანტე-მალაგა | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 30.12 სევილია-ესპანიოლი | 1.4 | 4.75 | 7.5 |
| 30.12 რაიო-ატლეტიკო | 6.0 | 3.75 | 1.6 |
| 30.12 ეიბარი-ხიხონი | 1.85 | 3.3 | 4.6 |
| 30.12 ბარსელონა-ბეტისი | 1.04 | 15.0 | 29.0 |
| 30.12 ხეტაფე-დეპორტივო | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 30.12 სელტა-ბილბაო | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 30.12 ლას პალმასი-გრანადა | 2.1 | 3.1 | 3.8 |
| 31.12 ვილიარეალი-ვალენსია | 1.8 | 3.4 | 4.8 |

**რეალი-სოსიედადი**

**რეალი:** ტრავმ-დანიელ კარვახალი, რაფაელ ვარანი

**სოსიედადი:** ტრავმ-მიგელ გონსალესი, დავიდ ზურუტუზა

**ლევანტე-მალაგა**

**ლევანტე:** ტრავმ-სუარ ფედალი, ტონო, ანხელ ტრუხილიო, ვიქტორ კასადესუსი

**მალაგა:** ტრავმ-მიგელ ტორესი, მარკუს ანგელერი

**სევილია-ესპანიოლი**

**სევილია:** ტრავმ-გრეგოჟ კრიშევიაკი, მარკო ანდრეოლი, ბეტო

**ესპანიოლი:** ტრავმ-ვიქტორ სანჩესი, პაპე დიოპი, ანაიტ არბილა

**რაიო-ატლეტიკო**

**რაიო:** ტრავმ-ნაჩო მარტინესი, ტიტო, რაულ ბაენა, რაზვან რაცი, პატრიკ ებერტი, ტონო

**ატლეტიკო:** ტრავმ-ფელიპე ლუისი, გაბი, ტიაგო

**ეიბარი-ხიხონი**

**ეიბარი:** ტრავმ-ანტონიო ლუნა, დავიდ იუნკა, ბორახ ეკიზა, იზეტ ჰაიროვიჩი, ედი სილვესტრი

**ხიხონი:** ტრავმ-ბერნარდო ესპინოზა, ლუის ერნანდესი, დანიელ ნდი, მიგელ ანხელ გერერო, ნაჩო კასესი, ალბერტო, ანტონიო სანაბრია, რობერტო კანელა, სერხიო ალვარესი

**ბარსელონა-ბეტისი**

**ბარსელონა:** ტრავმ-სერხიო ბუსკეტსი, დუგლას პერეირა, რაფინია

**ბეტისი:** ტრავმ-არავინ

**ხეტაფე-დეპორტივო**

**ხეტაფე:** ტრავმ-ემანუელ ველასკესი, ემილიანო ბუენდია, ალვარო მედრანი

**დეპორტივო:** ტრავმ-ლუიზინიო, ალბერტო ლოპო, ორიოლ რიერა, კანი, ხონას გუტიერესი, ცელსო ბორხესი

**სელტა-ბილბაო**

**სელტა:** ტრავმ-ნოლიტო, ენდრიუ ფონტასი, ნემანია რადოია

**ბილბაო:** ტრავმ-ანდერ იტურასპე, იბაი გომესი

**ლას პალმასი-გრანადა**

**ლას პალმასი:** ტრავმ-აიტამი არტილესი, ანტოლინ ალკარაზი, დავიდ გარსია, პედრო ბიგასი, ხავი კასტელანო

**გრანადა:** ტრავმ-ისააკ სუკესი, რენე კრინი

**ვილიარეალი-ვალენსია**

**ვილიარეალი:** ტრავმ-ერიკ ბაილი, ბოიან ჯოკიჩი, მარიო გასპარი, დანიელე ბონერა, ლეო ბაპტისტაო, ადრიანი

**ვალენსია:** ტრავმ-ხოსე გაია, შკოდრან მუსტაფი, ენცო პერესი, ზაქარია ბაკალი, სოფიან ფეგული, როდრიგო მორენო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 11 | 2 | 2 | 36-15 | 35 |
| 2.ატლეტიკო | 16 | 11 | 2 | 3 | 22-8 | 35 |
| 3.რეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 42-15 | 33 |
| 4.სელტა | 16 | 9 | 4 | 3 | 28-22 | 31 |
| 5.ვილიარეალი | 16 | 9 | 3 | 4 | 21-15 | 30 |
| 6.დეპორტივო | 16 | 6 | 8 | 2 | 25-16 | 26 |
| 7.ბილბაო | 16 | 7 | 3 | 6 | 24-18 | 24 |
| 8.სევილია | 16 | 6 | 5 | 5 | 21-19 | 23 |
| 9.ვალენსია | 16 | 5 | 7 | 4 | 21-14 | 22 |
| 10.ეიბარი | 16 | 5 | 6 | 5 | 19-19 | 21 |
| 11.ბეტისი | 16 | 5 | 5 | 6 | 13-19 | 20 |
| 12.ესპანიოლი | 16 | 6 | 2 | 8 | 16-26 | 20 |
| 13.მალაგა | 16 | 4 | 5 | 7 | 10-14 | 17 |
| 14.სოსიედადი | 16 | 4 | 4 | 8 | 17-22 | 16 |
| 15.ხეტაფე | 16 | 4 | 4 | 8 | 18-26 | 16 |
| 16.ხიხონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-23 | 15 |
| 17.გრანადა | 16 | 3 | 5 | 8 | 17-27 | 14 |
| 18.რაიო | 16 | 4 | 2 | 10 | 18-37 | 14 |
| 19.ლას პალმასი | 16 | 3 | 4 | 9 | 12-23 | 13 |
| 20.ლევანტე | 16 | 2 | 5 | 9 | 12-29 | 11 |

# ლიდერთა სამეულში სოხუმი დინამომ ჩაანაცვლა



გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ოლიმპი – ქუთაისი 86:96 (ოტ)**
**(12:24; 22:25; 25:14; 20:16; 7:17)**

მატჩში რამდენჯერმე იყო მომენტი, როცა ანგარიშში სხვაობამ 20 ქულას გადააჭარბა და თითქოს თამაშის ბედიც გადაწყდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი დამატებით დრომდე მივიდა.

ქუთაისელებმა შეხვედრა სწრაფად და შედეგიანად დაიწყეს, რამაც შედეგი მალევე გამოიღო და სტუმრები 22:7 დაწინაურდნენ, საწყისი პერიოდი კი 24:12 მოიგეს. რევაზ დიდიას, სერგეი ალფიოროვისა და ნუგზარ აბულაძის შედეგიანობით ოლიმპელებმა ჩამორჩენა თამაშის განახლებიდან მალევე აღმოფხვრეს და მეორე პერიოდის მესამე წუთზე ანგარიში 27:27 გახდა. შემდეგ ისევ ქუთაისელების ჯერი დადგა.

ანატოლი ბოისას, გოგა ცეკვავასა და ბექა ბექაურის შედეგიანობამ იმერულ კლუბს დიდი შესვენებისთვის 15-ქულიანი ლიდერობა მოუტანა (49:35), ხოლო მესამე პერიოდის მესამე წუთისთვის ქუთაისმა გამარჯვების ტოლფასი, 23-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა – 57:34. თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ოლიმპელი ჯერემი ბაინამის შედეგიანობას მესამე პერიოდის ბოლო წამზე ნუგზარ აბულაძის სამქულიანიც დაერთო და ბოლო პერიოდის დაწყებამდე ოლიმპელებმა 23-ქულიანი ჩამორჩენა თითქმის მინიმუმამდე შეკვეცეს – 59:63.

ბოლო პერიოდში თანაბარი ბრძოლა წავიდა. ბოლო წუთებზე ხან ერთი გუნდი გავიდოდა წინ, ხან მეორე. რევაზ როგავას ზუსტი საჯარიმოებით ოლიმპი 79:78 დაწინაურდა და თბილისელებმა დაცვაში ბურთი რომ მოიპოვეს, ძირითადი დროის დასრულებამდე 30 წამი რჩებოდა. მწვრთნელის დავალება მარტივი იყო: ბურთი შეტევისთვის გამოყოფილი 24 წამის განმავლობაში ბოლომდე გაეთამაშებინათ და ბოლო წამზე შეეტიათ. ოლიმპელებმა დავალება ვერ შეასრულეს, მათ 3 წამით ადრე შეუტიეს და ქულით ჩამორჩენილ ქუთაისელებს შესატევად 9 წამი დარჩათ. რიონისპირელებმა ბურთი მეტოქის საჯარიმომდე მიიტანეს და ფარქვეშ თავისიანი ბექა ბექაური მოძებნეს, რომელსაც ჩაგდება ლევან მასხულიამ არ დააცალა და დასრულებამდე 0.6 წამით ადრე დაჯარიმდა.

ბექაურმა პირველი საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მეორე ააცილა და შეხვედრის ძირითადი დრო 79:79 დასრულდა. დამატებით ხუთწუთეულში კი ქუთაისელებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და 2,5 წუთის შემდეგ 88:79 დაწინაურდნენ, რითაც მატჩის ბედი სათავისოდ გადაწყვიტეს.

გამარჯვებულებს 21 ქულითა და 17 მოხსნით ბექაურმა ულიდერა. 19 ქულა დააგროვა გიორგი ბარბაქაძემ, რომელიც ოვერტაიმის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო. 14 ქულა და 9 მოხსნა გოგა ცეკვავას ანგარიშზეა.

ოლიმპში 21 ქულით საუკეთესო იყო ჯერემი ბაინამი.

**ბათუმი – აკადემია 95:98 (ოტ)**
**(25:21; 19:30; 19:14; 21:19; 11:14)**

სუპერლიგის ლიდერ აჭარულ გუნდს ბოლო ადგილზე მყოფი აკადემია ესტუმრა და მორის ბრიგსის ფენომენალური თამაშის წყალობით 98:95 იმარჯვა. ამ შედეგით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სუპერლიგაში ლიდერები და აუტსაიდერები არ არიან – ყველა გუნდს შეუძლია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება და ფაქტიც სახეზეა...

ზღვისპირელებმა პირველი პერიოდი რომ მოიგეს (24:21), მას შემდეგ მუდმივად მდევრის როლში იყვნენ. შესანიშნავად ირჯებოდა აკადემიელი მორის ბრიგსი, რომელიც საბოლოოდ 40 ქულით მატჩის გმირი და სუპერლიგის ახალი რეკორდსმენი გახდა. აქამდე გამართულ 11 ტურში ყველაზე მეტი, 31 ქულა დინამოელ გიორგი შარაბიძეს ჰქონდა მოგროვებული.

მატჩის ძირითადი დრო ფრედ – 84:84 დასრულდა, დამატებით 5-წუთეულში კი აკადემიელებმა იძალეს. ბრიგსის წინამძღოლობით 92:84 დაწინაურდნენ, თუმცა ბათუმელებმა მაინც მოახერხეს გათანაბრება – 92:92. ბოლო წუთებზე აკადემიელებმა მეტი მობილიზება გამოავლინეს, ბრიგსის ორმა საჯარიმომ კი გელა წულაძის განწვრთნილი თბილისელები 98:95 დააწინაურა. ბათუმელებს შანსი კი დარჩათ, მაგრამ ბესო ლეჟავამ გამთანაბრებელი სამქულიანი ააცილა და მატჩიც აკადემიის გამარჯვებით დასრულდა.

ბრიგსს გვერდში ედგა კანადელი ემერსონ მიურეი, რომელმაც შეხვედრა 19 ქულით დაასრულა. ვლადიმერ კრისევიჩმა 11 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა.

ბათუმელთაგან 5-მა მოთამაშემ მიაღწია 10-ქულიან ზღვარს, 20 ქულით კი უკრაინელი ლეონიდ სტეპანიშინი გამოირჩა.

**დინამო – სოხუმი 72:66 (ოტ)**
**(10:22; 21:17; 12:12; 18:10; 11:5)**

გამარჯვებულის ვინაობა ამ მატჩშიც ოვერტაიმში გადაწყდა.

სოხუმი გამარჯვებასთან ახლოს იყო. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა პირველი მეოთხედი დიდი სხვაობით – 22:10 მოიგო და ლიდერის სტატუსს მთელი მატჩის განმავლობაში ინარჩუნებდა. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმელებს აკლდათ სასტარტო ხუთეულის წევრები – გიორგი ჯგერენაია და მეთიუ გლოვერი, დანაკლისი არ ეტყობოდათ და ღირსეულ მეტოქესთან მატჩის პირველ ნახევარში დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ.

საქმეს ერთი ტაიმი არ შველის და სოხუმელებს გამარჯვების მოსაპოვებლად მეორე ნახევარში კარგი თამაშიც მართებდათ, თუმცა მიხეილ ბერიშვილის შედეგიანმა თამაშმა სოხუმელებს გეგმები აურია. ბერიშვილმა მეორე ტაიმში 3 სამქულიანი ჩააგდო, რასაც 2 ორიანიც მოაყოლა და ამათგან ბოლო ტყორცნა მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე 16 წამით ადრე, გამთანაბრებელი გამოდგა – 51:51. ძირითადი დროის დარჩენილ წამებში სოხუმელებმა შეტევა შედეგიანად ვერ დაასრულეს და შეხვედრა დამატებით 5-წუთეულში გადაიზარდა.

ოვერტაიმი თანაბარ თამაშში გაგრძელდა, თუმცა დასრულებამდე 2 წუთით ადრე მოედნიდან 5 პერსონალურის გამო სოხუმელთა ლიდერი ლევან ფაცაცია გავარ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**26 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სტოკი-მანჩესტერი | 2:0 |
| ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1:1 |
| ბორნმუთი-კრ.პალასი | 0:0 |
| ჩელსი-უოტფორდი | 2:2 |
| ლივერპული-ლესტერი | 1:0 |
| სიტი-სანდერლენდი | 4:1 |
| სუონსი-ვესტ ბრომვიჩი | 1:0 |
| ტოტენჰემი-ნორვიჩი | 3:0 |
| ნიუკასლი-ევერტონი | 0:1 |
| საუთჰემპტონი-არსენალი | 4:0 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ბრენტფორდი-ბრაიტონი | 0:0 |
| ბრისტოლი-ჩარლტონი | 1:1 |
| დერბი-ფულემი | 2:0 |
| ჰადერსფილდი-პრესტონი | 3:1 |
| ჰალი-ბარნსლი | 3:0 |
| იფსვიჩი-ქპრ | 2:1 |
| მილტონი-კარდიფი | 2:1 |
| როტერჰემი-ბოლტონი | 4:0 |
| უენსდი-ბირმინგემი | 3:0 |
| ვულვზი-რედინგი | 1:0 |

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

| | |
|---|---|
| აბერდინი-ინვერნესი | 2:2 |
| ჰამილტონი-კილმარნოკი | 0:1 |
| როსი-დანდი | 5:2 |

**ბელგია. პრო ლიგა**

| | |
|---|---|
| კორტრაიკი-ბრიუგე | 1:4 |
| შარლერუა-გენკი | 1:0 |
| მეხელენი-გენტი | 2:0 |
| ბევერენი-ლოკერენი | 2:3 |
| სტ.ტრუდენი-ლეუვენი | 2:2 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| რიზე-ბასაქშეჰირი | 2:1 |
| ანტალია-გაზიანთეპი | 0:0 |
| ქასიმფაშა-ტრაბზონი | 1:1 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებამდე!) შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმიმოქცევის მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნები 24 იანვარს ჩატარდება

გაიმართა საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა, სადაც სრკ-ს საერთო კრების ახალი თარიღისა და ადგილის დადგენის, სრკ-ს პრეზიდენტობის კანდიდატთა საერთო კრებისათვის წარდგენის ვადისა და წესის განსაზღვრის შესახებ იმსჯელეს.



გამგეობის სხდომაზე შემდეგი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით:

სრკ-ს წლიური საერთო კრება მოწვეულ იქნეს 2016 წლის 24 იანვარს 13 საათზე თბილისში, სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში;

სრკ-ს 2016 წლის 24 იანვრის საერთო კრებისთვის სრკ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 18 იანვრის 13 საათი;

სრკ-ს პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით სრკ-ის ნამდვილი წევრის მიერ სრკ-ის გამგეობაში;

სრკ-ს ნამდვილი წევრის მიერ წარდგენილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა 2016 წლის 18 იანვრის 13 საათამდე უნდა წარადგინოს წერილობითი თანხმობა სრკ-ს გამგეობაში, სრკ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ;

სრკ-ს არჩევნები 20 დეკემბრისთვის იყო დანიშნული. პრეზიდენტობისთვის ორი კანდიდატი იბრძოდა – ბოლო 8 წლის განმავლობაში სრკ-ს პრეზიდენტი გია ნიჟარაძე და საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი, სრკ-ს სპორტული დირექტორი ირაკლი აბუსერიძე.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ორივე მათგანმა კანდიდატურა მოხსნა და არჩევნების გადადების მიზეზიც ეს გახდა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ლიდერთა სამეულში სოხუმი დინამომ ჩაანაცვლა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

და, რის შემდეგაც მარტო დარჩენილმა ფილიპ მილერმა ვერ მოახერხა გადამწყვეტი შეტევების შედეგიანად გაძღოლა. საბოლოოდ დინამოელებმა 72:66 იმარჯვეს და სოხუმს ცხრილში გადაასწრეს.

**რუსთავი – მგზავრები 68:75**
**(18:16; 13:25; 16:17; 21:17)**

აქაც საინტერესო ორთაბრძოლა ვიხილეთ. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ მგზავრებს ტრავმირებული მაიკლ ტერი დაუბრუნდა, თუმცა ვერ ითამაშა გუნდის ლიდერმა კაშიმ რენსომმა. სამაგიეროდ, ერთმატჩიანი იძულებითი შესვენების შემდეგ რუსთაველთა გუნდში ითამაშა სუპერლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა ნიკოლა გაჩეშამ, თუმცა ქვემოქართლელებმა ისევ მარცხი იწვნიეს.

გუნდი, რომელსაც გამორჩეული მოთამაშეები ჰყავს და ამბიციაც შესაბამისი აქვს, მატჩების უმეტესობას აგებს. მგზავრებთან მატჩის შემდეგ მიხეილ ბერუაშვილის გუნდს 4 მოგება და 8 მარცხი დაუგროვდა და ამ შედეგით მხოლოდ აკადემიას უსწრებს.

მგზავრებმა საბოლოოდ 7 ქულის სხვაობით – 75:68 იმარჯვა. დაახლოებით ამ სხვაობით იგებდნენ თბილისელები მთელი მეორე ტაიმი და რუსთაველები ამაოდ ცდილობდნენ მის გაბათილებას. საკმაოდ სწრაფი და შედეგიანი თამაშით მგზავრები მეტოქეს ახლოსაც არ უშვებდნენ და მეორე პერიოდის 25:13 მოგებით მოპოვებული ლიდერობა თამაშის ბოლომდე წარმატებით შეინარჩუნეს.

გამარჯვებულებს 18 ქულით ლევან გრძელიძემ ულიდერა. ორმაგი დუბლი – 13 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა ტანმაღალმა რეჯინალდ მერფიმ, მაიკლ ტერის ანგარიშზე კი 15 ქულა დაგროვდა. რუსთაველთაგან 18 ქულით მიხეილ ჭოჭუა გამოირჩა, ხოლო ნიკოლა გაჩეშამ 16 ქულა მოაგროვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 12 | 8 | 4 | 937:882 | 20 |
| 2.დინამო | 12 | 8 | 4 | 854:800 | 20 |
| 3.ქუთაისი | 12 | 8 | 4 | 921:871 | 20 |
| 4.სოხუმი | 12 | 7 | 5 | 928:837 | 19 |
| 5.მგზავრები | 12 | 6 | 6 | 854:893 | 18 |
| 6.ოლიმპი | 12 | 5 | 7 | 868:876 | 17 |
| 7.რუსთავი | 12 | 4 | 8 | 876:922 | 16 |
| 8.აკადემია | 12 | 2 | 10 | 847:1004 | 14 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 28 დეკემბრისათვის



**ვერძი** – მთელი დღის განმავლობაში შესანიშნავი განწყობა გექნებათ. საჭირო ადამიანებთან სათანადო კონტაქტს დაამყარებთ. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილო არ არის. **კურო** – სიტუაციას კრიტიკულად შეხედეთ. დროა, საკუთარი მიღწევები შეაფასოთ და დასკვნებიც გამოიტანოთ. ორიგინალური გადაწყვეტილება სიტუაციისდა მიხედვით მიიღეთ. **ტყუპები** – მთელი დღე ენერგიით ხართ სავსე. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. ამის მიუხედავად, სიძნელეები მაინც შეგხვდებათ. **კირჩხიბი** – დილიდანვე საოჯახო საქმეებში ჩაეფლობით. ემოციები მაქსიმალურად მოთოკეთ. ფრთხილად იყავით საქმიან ქაღალდებთან ურთიერთობისას. **ლომი** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური შესაძლებლობები. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. **ქალწული** – ნუ იქნებით სუბიექტური. მოდუნდით, მეტი ყურადღება მიაქციეთ მშობლებსა და ახლო ნათესავებს. **სასწორი** – გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. მძიმე დღეა. იყავით თვითკრიტიკული. პირველ რიგში, საკუთარ თავში განდიდების მანია დათრგუნეთ. **ღრიანკალი** – დღეს თქვენი მოთხოვნილებები შესაძლებლობებს აღემატება. საყიდლებზე წასვლა და მსხვილი შენაძენი რეკომენდებული არ არის. **მშვილდოსანი** – მოქმედების სრული თავისუფლება გაქვთ. მშვენიერ ურთიერთობას ამყარებთ გარშემომყოფებთან. სიყვარულში წარმატება გელით. **თხის რქა** – იდეების რეალიზებას შესანიშნავად ახერხებთ. თქვენი ენერგიულობითა და სპონტანურობით გარშემომყოფებს გააოცებთ. სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ იცვლება. **მერწყული** – პლანეტები გაფრთხილებენ – ახალ ნაცნობს არ ენდოთ. არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას, თორემ დამარცხდებით. **თევზები** – პასიური, მძიმე დღეა. ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაო გელით. მოსალოდნელია აგრესია ოპონენტებისა და არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# გიორგი კეკელიძე დააჯილდოეს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე დააჯილდოეს. მან და ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ წამოწყებულმა პროექტმა „ეკვილიბრიუმი – სოფლის განახლებული ბიბლიოთეკები" ზედიზედ ორი ჯილდო მიიღო.

**გიორგი კეკელიძე:**



– რადგან უკვე ბევრჯერ მომნიშნეს და ჩემი მეგობრების კედლები მოფენილია სურათებით, ამ კარგი ამბის ახალ წლამდე დამალვას აზრი არ აქვს, სწორედ 31 დეკემბერს პირველ არხზე გავა დაჯილდოების ცერემონია და, დარწმუნებული ვარ, უყურებთ და გეტყვით, რომ ხალხის გამოკითხვის შედეგად ჩვენი მოძრაობა „ეკვილიბრიუმი – სოფლის განახლებული ბიბლიოთეკები" წლის საუკეთესო საგანმანათლებლო პროექტად დასახელდა. ვულოცავ ჩვენი გუნდის წევრებს, ყველა სოფლის ბიბლიოთეკარს და მადლობა თქვენ, მეგობრებო – ეს მოძრაობა კიდევ უფრო დიდი შემართებით გაგრძელდება და ყველა სოფელს მოიცავს!

მაგრამ „ეკვილიბრიუმი – სოფლის განახლებული ბიბლიოთეკების" დაჯილდოება ამით არ დასრულებულა. პროექტი წლის ეროვნულ პროექტადაც აღიარეს და სპეციალური პრიზითაც დააჯილდოეს.

**გიორგი კეკელიძე:**

– ეს კი მეორე ჯილდო – წლის ეროვნული პროექტი! „სოფთლაინ საქართველომ" საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის დანერგვისთვის დააჯილდოვა ნომინაციაში „წლის ეროვნული პროექტი".

**ეკა ირემაშვილი**

# რუსკა მაყაშვილი გათხოვდა

რუსთაველის თეატრის მსახიობი რუსკა მაყაშვილი გათხოვდა. მორაგბე სანდრო ნიჟარაძეზე დანიშნულმა მსახიობმა მხოლოდ ხელი მოაწერა. რუსკამ უარი თქვა ტრადიციულ საპატარძლო კაბაზე და სპორტულ სტილში გამოეწყო.



„ნიჭიერის" ჟიურის წევრი რამდენიმე თვის წინ დაინიშნა, ახალი წლის მოახლოებასთან ერთად კი საკუთარი ოჯახის შექმნის სურვილიც გაუჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხალისიანი და ენერგიული მსახიობის ქორწინების ცერემონიალიც ისეთივე მხიარული და გიჟური აღმოჩნდა, როგორიც თავად რუსკაა.

წყვილმა დაქორწინება უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა. ქორწინების დამადასტურებელი ფოტოები რუსკამ სოციალურ ქსელში გაავრცელა და საპასუხოდ უამრავი მოწონება და მილოცვაც მიიღო.

**ეკა ირემაშვილი**

# თბილისში ნაძვის ხეების ფესტივალი დაიწყო

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, თბილისი სადღესასწაულოდ მოირთო და სხვადასხვა ღონისძიების მასპინძელი გახდა.




საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, ნაძვის ხეების ფესტივალი ძველ თბილისში გაიხსნა. ფესტივალზე სხვადასხვა კომპანიის მიერ მორთული 20-მდე საიმიჯო ნაძვის ხე გამოიფინა. ექსპოზიციის ნახვა დამთვალიერებლებს შარდენის ქუჩაზე, ბამბის რიგსა და კინოს მოედანზე 3 იანვრამდე შეეძლებათ.

ნაძვის ხეების გამოფენის პარალელურად, შარდენის ქუჩასა და ბამბის რიგში ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და ბენდის კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს გლინტვეინისა და საახალწლო ნუგბარის დაგემოვნების საშუალებაც ჰქონდათ.

ნაძვის ხეების ფესტივალი თბილისის მერიისა და „მეიდან ივენთსის" ორგანიზებით ტარდება.

**ეკა ირემაშვილი**

# იუმორი



●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– აბა, მითხარი, შენი აზრით, თუ ქმარი „ატვიორტკით" იწმენდს ფრჩხილებს, ის სულელია?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ, თუ „ატვიორტკას" ფიგურული პირი აქვს!

– აი, კიდევ ერთი...

●●●

ქალებს ცხოვრებაში სამი ეტაპი აქვთ:

1. ისინი ნერვებს უშლიან მამებს;

2. ნერვებს უშლიან ქმრებს;

3. ნერვებს უშლიან სიძეებს.

●●●

ექიმი მამაკაცს ეკითხება:

– თუ შეიძლება, მომიყევით, როგორ გაგიჟდა თქვენი მეუღლე.

– მთებში ვიყავით სამოგზაუროდ.

– მერე?

– მერე, იქ შესანიშნავი ექოა, ჩემი ცოლი კი მიჩვეულია, რომ ბოლო სიტყვა მისი უნდა იყოს...

●●●

ქალმა ბანაობის დროს შემთხვევით ოქროს თევზი დაიჭირა. თევზმა შეათვალიერა და ეკითხება:

– აუუ, ქალი ხარ?

– ჰო...

– ჯობია შემწვა!..

●●●

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში არავინ მომიტყუებია, არ გამიქურდავს და არ მომიკლავს! ასე ცუდად რატომ ვცხოვრობ?

– სწორედ მაგიტომ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გუშინ გოგონასთან ერთად რომ იყავი, სად გამოიჭირე?

– რუსთაველზე, ფარნის ქვეშ.

– რა, ფარანი ჩამქრალი იყო?

●●●

რუსი ჯარისკაცის პირველი წერილი მშობლებს:

– დედა, მამა, აკრძალული გვაქვს იმის დაწერა, თუ სად ვმსახურობთ, მაგრამ წუხელ, ყარაულში ყოფნისას, თეთრი დათვი მოვკალი.

მეორე წერილი:

– დედა, მამა, აკრძალული გვაქვს იმის დაწერა, თუ სად ვმსახურობთ, მაგრამ დღეს საღამოს კლუბში ჩუკოტკელ გოგონასთან ვცეკვავდი.

მესამე წერილი:

– დედა, მამა, აკრძალული გვაქვს იმის დაწერა, თუ სად ვმსახურობთ, მაგრამ დღეს ექიმმა მითხრა, რომ მერჩივნა, თეთრ დათვთან მეცეკვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი



1. ვივიენ ...; 2. ჭრილობა; 3 ქრისტეს გამყიდველი; 4. ... ბოლდუინი; 5. ნატვრის გამომხატველი შორისდებული; 6. კედლის ჭაღი; 7. „დაისის" პერსონაჟი; 8. შტატი აშშ-ში; 9. სისხლის შენადედი; 10. ძველებური ეტლი; 11. ისტორიისა და პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 12. სოფელი რაჭაში; 13. ქალიშვილს გატანებული ქონება მისი გათხოვებისას; 14. ... კრუზი; 15. იუპიტერის თანამგზავრი; 16. ფსიქიკური დაავადება; 17. ძველფრანგული ვერცხლის და ოქროს ფული; 18. ...ხაიამი; 19. ტყის მსხალი; 20. ტაბლეტი; 21. მუხის ნაყოფი; 22. ამონი; 23. ნაქსოვი ბურთულაკი ბავშვის ქუდზე; 24. პარტიის ნაწილი ჩოგბურთში; 25. ალპინისტის ფეხსაცმელი; 26. მოჩვენებითი ბრწყინვალება; 27. კუნთზე მიმანიშნებელი წინსართი; 28. „ეზოში ავი ძაღლია"-ს პერსონაჟი; 29. ფიზიკის ნაწილი; 30. ფულის მისაღები თამასუქი; 31. ერთ-ერთი სისხლძარღვი; 32. ... ვაიკულე; 33. პროსპერ ...; 34. ინგლისური ლუდი; 35. ანტილოპა; 36. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაგი; 2. გაუდი; 3. ერაყი; 5. შანხაი; 6. ტრომბონი; 9. ივანიშვილი; 10. ცოლიკაური; 11. ინტერპოლი; 14. ფრი; 16. ბერიკა; 18. აზია.

**თარაზულად:** 1. ფლეგმა; 4. ტაშკენტი; 7. ნუტრია; 8. ყარსაღი; 12. ვალიო; 13. ოფორტი; 15. სიურტე; 17. სვე; 19. ბრონტოზავრი; 20. პირსი; 21. მარულა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჟაკო; 2. შარმი; 3. იბიცა; 4. გიუმი; 5. ალგეთი; 6. რიტორიკა; 8. სპიდომეტრი; 11. პორტუგალია; 11. ჩახრუხაძე; 14. ფორუმი; 15. ასკილი; 16. ნანდუ.

**თარაზულად:** 1. ჟენშენი; 4. გრავიურა; 7. კუპრი; 9. ტაეპი; 12. ჩითილი; 13. ჩარხი; 14. ფეიხოა; 17. მეტეხი; 18. კალიმანტანი; 19. დიოგენი; 20. სურამი.

# პატრიარქი „ხალხის რჩეულად“ დაასახელეს

საქართველოს კულტურის პალატამ 2015 წლის სექტემბერში დააწესა ჯილდო „ხალხის რჩეული“. საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად პირველი „ხალხის რჩეული“ უკვე გამოვლენილია.



ქართველი საზოგადოების გადაწყვეტილებით, პირველი ჯილდო გადაეცემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს.

აღნიშნული დაჯილდოების ცერემონიალი 29 დეკემბერს საპატრიარქო რეზიდენციაში გაიმართება. უწმინდესსა და უნეტარესს აღნიშნულ ჯილდოს საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი გადასცემს.

# ქართული ანბანი ვარშავაში გამოიფინა

ვარშავის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოფიციალურად გაიხსნა გამოფენა „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“. გამოფენა განხორციელდა პოლონეთში საქართველოს საელჩოსა და ვარშავის ეთნოგრაფიული მუზეუმის ორგანიზებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.



შეკრებილ სტუმრებს ქართული ანბანის წარმოშობა და ისტორია გააცნო ვარშავის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა ადამ ჩიჟევსკიმ და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა.

გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ პოლონეთის სამთავრობო უწყებების, სენატისა და სეიმის, პოლონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, კულტურისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები, ასევე პოლონეთში მცხოვრები ქართული დიასპორა.

სპეციალურად გამოფენის გახსნის დღისთვის საელჩოს საჩუქრად გადაეცა პროექტის „წერე ქართულად“ მაისურები, ფანქრები და სტიკერები. ღონისძიების ფარგლებში საელჩომ უცხოელი სტუმრებისთვის ჩაატარა ქართული ანბანის წერის კონკურსი, რის შედეგადაც სამ გამარჯვებულ სტუმარს სიმბოლურად გადაეცა პროექტის „წერე ქართულად“ მაისურები, ფანქრები და სტიკერები.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოს ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილები“ ქართული ტრადიციული კოსტიუმები, აფხაზეთისა და ფშავ-ხევსურეთის ქალთა კოსტიუმები და მამაკაცის „ჩოხა“, მოზაიკის სახელოსნო „ლურჯი რომბის“ წარმომადგენელ თამთა ალხაზაშვილის მიკრომოზაიკის სამკაულები.

გამოფენის გახსნის ცერემონიალის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას ქართული ღვინისა და ჩურჩხელის დაგემოვნების საშუალება მიეცა.

„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“, ქართული ეროვნული კოსტიუმები და მიკრომოზაიკის სამკაულები ვარშავის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში ერთი თვის განმავლობაში გამოიფინება.

# ზუგდიდის თეატრში უმძიმესი მდგომარეობაა



შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში არსებული მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. წლებია თეატრის ხელმძღვანელობა შესაბამისი ორგანოებისგან ყურადღებასა და დახმარებას ითხოვს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი წერედიანი აცხადებს, რომ ზუგდიდის თეატრის ისედაც სავალალო მდგომარეობა დღითიდღე რთულდება და იქ მუშაობა და სპექტაკლების გამართვა ადამიანებს საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდებათ.

**ბადრი წერედიანი:**

– თეატრის უხუცესი მსახიობი ზემფირა გუნია ისევ ავადაა და დასის მსახიობებთა უმეტესობა იმავე მდგომარეობაშია. მაქვს ამის უფლება? რაც თეატრმა ბოლო პერიოდში მოახერხა, ამას ჩვენი მაყურებლები და პროფესიონალები აფასებენ ჩვენზე კარგად.

აწი რა ვქნათ? ნუთუ ყველაფერს ერთი ფასი აქვს? რა გავაკეთოთ კიდევ??? მე რომ 3 ნახევარი მეტრიდან ჩამოვვარდი და გადავრჩი, ეს, დავუშვათ და არაფერი, მაგრამ თანამშრომლებიდან ვინმე რომ დამეღუპოს, პასუხს ვის მოსთხოვენ??? მაქვს ამის უფლება??? ჩვენ იქით ვინმეს კიდევ აწუხებს ეს მდგომარეობა???

თეატრის 150 წლის იუბილე უკვე ძალიან ახლოსაა, თუ ეს ფაქტი, უბრალოდ, დაივიწყეთ???

ნუთუ გგონიათ, რომ თეატრის შენობა მშვიდად დაინგრევა და არც არაფერი???

ასე გგონიათ მართლა?!?

# „გახდი ვარსკვლავი“ ბექა ფიცხელაურმა მოიგო



ჯიდიესმა დაასრულა მუსიკალური შოუს „გახდი ვარსკვლავის“ პირველ სეზონი. მასში მონაწილე ახალბედა მომღერლებიდან გამარჯვება ბექა ფიცხელაურმა მოიპოვა.

ჯიდიესზე გრანდიოზული მუსიკალური შოუ ათი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაყურებელი თითო კვირის განმავლობაში თითო ფინალისტს ხმის მიცემის სისტემით ირჩევდა. კონკურსანტებს ბერა და ზაკ რისი აფასებდნენ.

„გახდი ვარსკვლავის“ სუპერფინალში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ბექა ფიცხელაური, ელენე კუხალაშვილი, გიგი ადამაშვილი, ომო გადაბაძე, სანდრო კახიძე, თაკო ჭავჭანიძე, მარიამ კოტრიკაძე, თათია ცქვიტაია, გიორგი შერაზადიშვილი და მერი მამულაშვილი.

პროექტის პირველი სეზონის გამარჯვებული ბექა ფიცხელაური გახდა. ჯიდიესი „გახდი ვარსკვლავის“ გამარჯვებულს სასწავლებლად დიდ ბრიტანეთში, ბრიტანულ მუსიკალური ინსტიტუტში გაუშვებს, სადაც მას ერთი წლის განმავლობაში საშუალება ექნება, გამოცდილ პედაგოგებთან ერთად საკუთარ ვოკალურ მონაცემებზე იმუშაოს.

# გურამ დოჩანაშვილის შედევრი ოზურგეთის თეატრში გაცოცხლდება



ქართული ლიტერატურის ცოცხალ კლასიკოსად აღიარებული გურამ დოჩანაშვილის შედევრი ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში გაცოცხლდება.

თეატრი რიგით მერვე პრემიერას გამართავს და მაყურებელს შესთავაზებს მწერლის მოთხრობის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლს.

წარმოდგენაზე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ რეჟისორ ოთარ კუტალაძესთან ერთად იმუშავა, ინსცენირების ავტორი ზურაბ კანდელაკია, სცენოგრაფი – ლომგულ მურუსიძე, მუსიკალური გამფორმებელი – გოგა მახარაძე.

ვასიკო კეჟერაძის როლზე მოწვეულია ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ზურაბ ცინცქილაძე. ამავე როლზე მუშაობს ოზურგეთის თეატრის მსახიობი ზვიად ჯორბენაძე. სპექტაკლში ასევე მონაწილეობენ გიორგი დოლიძე, ირაკლი ვადაჭკორია, ვახტანგ ჩხარტიშვილი.

სპექტაკლი ერთდროულად დიდი და მცირე სცენებისთვის მზადდება. მისი პრემიერა ოზურგეთის თეატრში 28 დეკემბერს გაიმართება, მოგვიანებით კი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გათამაშდება.

# ანსამბლ „მეტეხს“ ვარსკვლავი გაუხსნეს

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ქორეოგრაფიული ანსამბლ „მეტეხის“ სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნა. ანსამბლს ეს პატივი დაარსებიდან 40 წლის იუბილეზე ერგო.

ვარსკვლავის გახსნამდე დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. კონცერტზე მაყურებლის წინაშე ანსამბლის სხვადასხვა თაობა წარდგა. „მეტეხის“ დამფუძნებელ გელოდი ფოცხიშვილს ხელოვნების მოღვაწეებმა სხვადასხვა პრიზი გადასცეს. მისი 70 წლის იუბილე ბათუმში აღინიშნა, სადაც ქორეოგრაფს ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით, გელოდი ფოცხიშვილს კულტურის რაინდის წოდება მიენიჭა.

40 წლის ანსამბლი თავისი არსებობის განმავლობაში არაერთ მნიშვნელოვან ფესტივალსა და კონკურსში მონაწილეობდა და გამარჯვებაც მრავლად მოიპოვა. ბოლო პერიოდში ანსამბლმა ზედიზედ მოიგო სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის მთავარი პრიზები.

ამჟამად „მეტეხს“ ანსამბლის დამაარსებელ გელოდი ფოცხიშვილთან ერთად მისი შვილები გელა და დავით ფოცხიშვილები მეუღლეებთან ერთად უძღვებიან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ძმა ანზორ ბურჯანაძე, ძმისშვილი ნინო ბურჯანაძე, რძალი სუსანა მორჩაძე, სიძე ბადრი ბიწაძე და ძმის შვილიშვილები ანზორ და რეზო ბიწაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**დოდო ბურჯანაძე-ლარცულიანის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 27, 28 დეკემბერს;
დაკრძალვა: სამშაბათს, 29 დეკემბერს, 14:00 საათზე;
მის. ქ. ბოლნისი, 500 ბოლნელის ქ.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს პარტიის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მამიდის

**დოდო ბურჯანაძე-ლარცულიანის**

გარდაცვალების გამო.
თანადგომას ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს სოფო ლარცულიანს დედის

**დოდო ბურჯანაძე-ლარცულიანის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ოჩშაბათი, 28 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 14.05 მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰენქსი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**"" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ქართ. მოკ. მხ/ფ "**წკიპურტები**" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "კომუნიკატორი" 00.10 მხ/ფ "**იძებნება**" (ა.ჯოლი) 02.00 თოქ – შოუ "რეალური სივრცე"

08.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 09.00 მხ/ფ "**საიდუმლო ბაღში დაბრუნება**" 10.40 დ/ფ "ეგვიპტე" 11.10 ქართ. მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" 12.30 დ/ფ "მადაგასკარი" 13.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 1 სერ. 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 მხ/ფ "**ქალი მუშკეტერი**" (მ.იორკი) 01.20 მხ/ფ "**ჭექა – ქუხილის დღეები**" (ნ.კიდმანი) 03.05 ერთხელ საქართველოში

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**აღთქმა**" 22.00 ნიჭიერი (პირდაპირი) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) 9.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" 9.30, 19.30 სერ. "**გრეის ანატომია**". 10.30, 1.35, 3.20 ჯიდიპედია 11.30 შუადღე 14.00 სერ. "**ახალი გოგო**", სეზ. 3, 6 სერ. 14.30 სერ. "**ცენტრი**", სეზ. 3, 7 სერ. 15.00 ან/სერ. "ავატარი - ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი" 16.00 საახალწლო დ/ფ 17.00 აირჩიე კაბა 17.30 საქორწილი გარდასახვა 18.00 სერ. "**ახალი გოგო**" , სეზ. 3, 7 სერ. 18.30 სერ. "**ცენტრი**", სეზ. 3, 8 სერ. 19.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.00 მზარეულები 22.30 მხ/ფ "**მარტო სახლში 2 - ნიუ-იორკში დაკარგული**" 0.45, 2.35 URBAN STORIES.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი 06.45 ქართული ალბომი 07.10 დ/ფ "ღვინის მადლი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**მეტიჩარა**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "ეზოში ავი ძაღლია" 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 დ/ფ "ხომლი-ფშავ-ხევსურეთი" II 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 საუკუნის პორტრეტები-იპოლიტე ხვიჩია 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუზეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05, 17.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**სხვისი ცხოვრება**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**მუნოსავი-2**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. თავისუფალი სამუშაო ადგილი დაწესებულებაში; 6. ზებრისა და ცხენის ნაჯვარი; 10. წნელით დაწნული ჭურჭელი მოგრძო ფორმის; 11. ბუნების მძლავრი მოვლენა; 12. რაიმე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი; 17. იატაკის საცხი; 18. მაყურებლის ადგილი თეატრში; 19. გამანადგურებელი ქარიშხალი; 20. ეკრანი.

**შვეულად:** 1. ჩაუკეტავი მრუდი [მათემატ.]; 2. ძლიერ შხამიანი გველი; 3. გონების უეცარი დაბინდვა დროებით; 4. სასუნთქი გზების მომწამვლელი ნივთიერება; 7. მსხვილი სამრეწველო საწარმო; 8. უბედურება, ვაი-ვაგლახი; 9. მოკლე დროით რამდენიმე ბანკის გაერთიანება; 13. ოთხკუთხედი; 14. დერეფანი; 15. ხელოვნური ბოჭკო; 16. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთსა და ბელგიაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# ფასტუმ® გელი

კეტოპროფენი 2.5%

## ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება



გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების
შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**5-10 სმ გელი ადგილობრივად 1-3 ჯერ დღეში**

მკურნალობის დროს და მისი შეწყვეტიდან 2 კვირის განმავლობაში
ის უბნები, სადაც ისვამთ პრეპარატს, მოარიდეთ მზის სხივების ან
სოლარიუმის ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებას





BERLIN-CHEMIE MENARINI

FAS.01.2013

0160, თბილისი, გამრეკელის 19;
ტელ: 224 13 70/71/72; ფაქსი: 224 12 10;
ელ. ფოსტა: geobc@wanex.net